გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№50 (945) 16 - 18 მაისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

რატომ გაძვირდა რძე, რძის ნაწარმი, ბოსტნეული და მედიკამენტები?

გვ. 7

ექსკლუზიური ინტერვიუ კახა ცაბაძესთან

„სამი ვარსკვლავგოგონა და სამი თაღლითი მებრძვის!.. როგორც კი თქვეს, რომ აღმაშენებლის №123-ში რაღაც ცუდი ხდებოდა, პირველმა მე შევიტანე პოლიციაში განცხადება და გამოძიება მოვითხოვე. აღმოჩნდა, რომ ამ გაქირავებულ ფართში მსგავსი არაფერი ხდება და ამაზე პოლიციისგან ოფიციალური პასუხიც მაქვს. ეს ჩემ ოპონენტებს არ გაუხარდებათ, რადგან თავიანთი ბინძური საქმე ჯერ ბოლომდე ვერ მიიყვანეს“

გვ. 3

კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ცილისმწამებლების დასჯას ითხოვს

„ნაციონალურ მოძრაობაში პიარის დიდოსტატები არიან“

რომელ მუნიციპალიტეტში არ გამორიცხავს ზაქარია ქუცნაშვილი მეორე ტურს

გვ. 4

„ოცნებას“ საბოტაჟს უწყობენ“

ვინ არიან „პირუტყვები“ და „ხარაბუზები“ ქართულ პოლიტიკაში და როგორ მოხვდა კოალიციის მაჟორიტარების სიაში გენერალი კობა კობალაძე

გვ. 5

გეგუთის ციხეში გარდაცვლილი პატიმრის ოჯახი ირაკლი ღარიბაშვილს მიმართავს

რა კითხვები აქვთ გიგა ფარტენაძის ნათესავებს ხელისუფლებასთან და რას სთხოვენ პრემიერ-მინისტრს

გვ. 8

ლევან კალანდაძე: „ეს ხელისუფლება წინამორბედს ემსგავსება“

გვ. 6

რატომ დაადგა „ქართული ოცნება“ კეზერაშვილი-მერაბიშვილის გზას და როგორ დაეპატრონა ფინანსთა სამინისტრო გარგის ბიზნესს



ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას საქართველო 27 ივნისს მოაწერს ხელს

ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ავრცელებს. მისი თქმით, ხელმოწერის თარიღი უკვე დაზუსტებულია: **„მივესალმებით ევროკავშირის ძალისხმევას, დააჩქაროს ხანგრძლივი და შრომატევადი პროცედურები, რათა მაქსიმალურად მოკლე დროში მოეწეროს ასოცირების ხელშეკრულებას ხელი. ხელშეკრულების ხელმოწერა თვისებრივად სრულიად ახალ ეტაპზე გადაიყვანს და შეუქცევადს გახდის ქვეყნის ევროინტეგრაციას. აქტიურად ვემზადებით ამ დღისთვის. გვესმის, რომ ასოცირების პროცესი შრომატევადია და ფართომასშტაბიან რეფორმებს ითვალისწინებს, ამიტომ მზად ვართ, უფრო გავაძლიეროთ ძალისხმევა ამ მიმართულებით“.**

„პირველი“

გამოსაშვები გამოცდები 21 მაისს დაიწყება

გამოსაშვები გამოცდები 21 მაისს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყება.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მეთორმეტე კლასის მოსწავლეებმა გამოსაშვები გამოცდები 4 საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია) ოქტომბერში ჩააბარეს. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მათ, ვინც შემოდგომაზე გამოცდაზე ვერ გამოცხადდა ან ვერ გადალახეს ზღვარი, შესაძლებლობა აქვთ, კიდევ ერთხელ სცადონ ბედი და აღნიშნული საგნები, დარჩენილ ოთხ საგანთან ერთად ჩააბარონ.

გარდა ამისა, მე-11 კლასის მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს იმ საგნებს აბარებენ, რომლის სწავლაც უკვე დაასრულეს.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია 36 ათასზე მეტმა აბიტურიენტმა გაიარა.

„ინტერპრესნიუსი“

ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა ზაფხულში დასრულდება

ქუთაისის შემოვლითი — სამტრედიის გზის სამშენებლო სამუშაოები ზაფხულში დასრულდება. გზების დეპარტამენტის წარმომადგენლების ინფორმაციით, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის E60 (ფოთი-თბილისი-წითელი ხიდი) და E70 (ფოთი-ბათუმი-სარფი) მოდერნიზაცია-რეკონსტრუქცია საგზაო ინფრასტრუქტურის პრიორიტეული პროექტებია. ამ დროისათვის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე სამუშაოები ერთდროულად 7 მონაკვეთზე მიმდინარეობს.

ავტომაგისტრალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ქუთაისის შემოვლითი და ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის გზის სამშენებლო მონაკვეთის მშენებლობა. ქუთაისის შემოვლითი გზის მონაკვეთის სიგრძეა 17,3 კილომეტრი, ხოლო ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის მონაკვეთის სიგრძე — 24 კილომეტრი. აღნიშნული მონაკვეთების მშენებლობა მიმდინარე წლის აგვისტოში დასრულდება.

ამ დროისთვის, ქუთაისის შემოვლითი გზის 9,0 კმ-იან მონაკვეთზე სამუშაოების 88% შესრულებულია. პარალელურ რეჟიმში ხიდებისა და წყალგამტარი მილების მშენებლობა მიმდინარეობს. ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის პროექტი ითვალისწინებს ცემენტ-ბეტონის საფარიანი გზის მოწყობას, მომავალში კიდევ ორი ზოლის დამატების პერსპექტივით.

ქუთაისის შემოვლითი გზის I და II ლოტზე სამშენებლო სამუშაოებს კომპანია TODINI Costruzion Generali SPA TAKENAKA CIVIL ENGINEERING&CONSTUCTION CO.LTD ასრულებს, დონორი კი იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოა (JICA).

„ინტერპრესნიუსი“

„ქართული ოცნების“ პროპორციული სია ცნობილია

სიის პირველი ნომერი ირაკლი ფავლენიშვილი იქნება, რომელიც პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წევრია. სიაში სულ 25 კაცია და ყველა პარტიას საკუთარი წარმომადგენელი ჰყავს.

მეორე ნომერი კონსერვატიული პარტიის წევრი ნინო გოგოლაძეა. მესამე ნომრიდან სია ამგვარად გრძელდება: გიორგი ალიბეგაშვილი „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, გიორგი ტყემალაძე „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, ნუგზარ მალაღურაძე „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, გულიკო ზუმბაძე რესპუბლიკური პარტია, თევდორე კობახიძე „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, გიორგი მუსხელიშვილი „თავისუფალი დემოკრატები“, ირაკლი გვილავა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, ავთანდილ დავითაძე — „ეროვნული ფორუმი“, თამარ ტალიაშვილი „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, ხათუნა სამნიძე რესპუბლიკური პარტია, მალხაზ მჭედლიშვილი „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, ვლადიმერ ძნელაძე „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, რატი იონათამიშვილი „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, ქეთევან ჯოხაძე — კონსერვატიული პარტია, ბესიკ ქარცივაძე „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, გიორგი ახვლედიანი „თავისუფალი დემოკრატები“, ნიკოლოზ დერიუგინი „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, კახა ჩაკვეტაძე „ეროვნული ფორუმი“, ლაშა სამხარაძე „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, დავით სოსელია – „ეროვნული ფორუმი“, ირმა ზავრადაშვილი „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, ნინელი ფუტკარაძე „თავისუფალი დემოკრატები“, ნელი კობიაშვილი „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სია საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, კახა კალაძემ თბილისის მერობის კანდიდატ დავით ნარმანიასთან ერთად წარადგინა. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატის ვინაობა კი, ჯერჯერობით მათ არ დაუსახელებიათ.

„პირველი“

სასჯელაღსრულების დაწესებულებამ ომბუდსმენის ბრალდებების შესწავლა დაიწყო

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს ხელოვნური დაბრკოლებების შექმნაში ადანაშაულებს.

მისი თქმით, სახალხო დამცველის აპარატი განაგრძობს დახურული დაწესებულებების მონიტორინგს, მათ შორის, დაუგეგმავი ვიზიტების განხორციელებას. სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულება აქვს სახალხო დამცველის აპარატს, როგორც პრევენციის ეროვნულ მექანიზმს, ხელი შეუწყოს ამ საქმიანობის განხორციელებაში.

უჩა ნანუაშვილის განცხადებით, ნებისმიერი სახის ხელშეშლა და დაბრკოლების შექმნა არის დასჯადი ქმედება.

ნანუაშვილისვე თქმით, ბოლო დროს, განსაკუთრებით აპრილში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლებს ხელოვნურად შეუქმნეს დაბრკოლება.

მომხდართან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების წინადადებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს უკვე მიმართა. მისი თქმით, წინადადებაში დეტალურადაა აღწერილი სახალხო დამცველის რწმუნებულების საქმიანობისთვის ხელის შეშლის არაერთი შემთხვევა. სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულებაში რწმუნებულებს დაწესებულების თანამშრომლებმა აგრესიული, შეურაცხმყოფელი ტონით მიმართეს და მოუწოდეს, საგამოძიებო ოთახში შესულიყვნენ. რწმუნებულები დაძაბულობის განმუხტვის მიზნით საგამოძიებო ოთახში შევიდნენ და შეეცადნენ გაერკვიათ, რა ხდება. თუმცა, ნანუაშვილის ინფორმაციით, დაწესებულების თანამშრომელმა არ ისურვა მათთან გასაუბრება და კარი გარედან ჩაკეტა. სხვა შემთხვევაში, ნანუაშვილის განცხადებით, სახალხო დამცველის რწმუნებულებს არ აძლევდნენ უფლებას, დაუყოვნებლივ ენახათ პატიმარი საკანში, ასევე მე-7 და მე-15 დაწესებულების ტერიტორიაზე შესვლისას, დაჟინებით სთხოვდნენ მაჯის საათების დატოვებას, რომელიც სამუშაო პროცესში სჭირდებოდათ.

ომბუდსმენის განცხადებით, აუცილებელია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ ჩაატაროს სამსახურებრივი შემოწმება და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. მისივე თქმით, პარლამენტში ანგარიშის მოსმენისას სახალხო დამცველი მანდატის გაფართოებას მოითხოვს. კერძოდ, კი, დახურულ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლებას.

სასჯელაღსრულების სამინისტრომ უჩა ნანუაშვილის ბრალდებების საპასუხოდ, ოფიციალური განცხადება გაავრცელა და საზოგადოებას აუწყა, რომ სახალხო დამცველის მომართვის საფუძველზე, გენერალურმა ინსპექციამ სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო და შესაბამის დასკვნას, უახლოებს მომავალში დადებს.

„ვერსიანიუსი“

ფარული ღონისძიებების გატარება დანაშაულთა განსაზღვრული კატეგორიის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი

იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შალვა შავგულიძის განმარტებით, ფარული მიყურადების განხორციელება დაშვებული იქნება მხოლოდ განზრახ, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან მიმართებაში: **„პრინციპები, რომელიც კანონპროექტითაა გათვალისწინებული, არის შემდეგი: ასეთი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გათვალისწინებულია კანონით და ასევე, წარმოადგენს აუცილებელ, შესაბამის და პროპორციულ საშუალებას ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის. ასეთი ლეგიტიმური მიზნებია ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილება, ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესისა და კონკრეტულ პირთა უფლებების დაცვა... გარდა ამისა, აქამდე არ იყო განსაზღვრული დანაშაულთა კატეგორიები, რა შემთხვევაში შეიძლებოდა ფარული ღონისძიებების განხორციელება. ეს განისაზღვა — განზრახ, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები“.**

კანონპროექტის მომხსენებლის თქმით, განისაზღვრა იმ პირთა წრეც, ვის მიმართაც აღნიშნული ტიპის ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს: **„ესაა დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი, ან პირი, რომელსაც პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს კომუნიკაციის განსახორციელებლად. კერძოდ, იყენებს მის ტექნიკურ საშუალებებს, ან ის იღებს ინფორმაციას დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისგან და გადასცემს მას – ანუ მისი მეკავშირეა. ესეც ევროპული სტანდარტია“.**

გარდა ამისა, კანონპროექტის მიხედვით, ფარული ღონისძიება უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოადგენს უკიდურეს საშუალებას ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის. ასევე სავალდებულოა, პროკურატურის შუამდგომლობაშიც და მოსამართლის განჩინებაშიც იყოს დასაბუთებული, რომ აღნიშნული უკიდურესი საშუალებაა მიზნის მიღწევისთვის.

შავგულიძის ინფორმაციით, კანონპროექტში დევს ე.წ. შეტყობინების პრინციპი — ანუ პირს, რომლის მიმართაც ფარული ღონისძიება განხორციელდება, ოდესმე ამის შესახებ უნდა ეცნობოს და იქვე განემარტოს გასაჩივრების უფლება: **„როდის უნდა ეცნობოს, წყვეტს პროკურატურა. ესაა პროკურატურის დისკრეცია, რათა ასეთი სახის შეტყობინებამ არ დააზიანოს გამოძიების ინტერესი. იმისთვის, რომ ეს დისკრეცია ბოროტად არ გამოიყენონ, შემოთავაზებულია შემდეგი ნორმა – ამ ღონისძიების განხორციელებიდან 12 თვის შემდეგ, პროკურორი, თუკი არ მიაჩნია მიზანშეწონილად, პირს მის მიმართ განხორციელებული თვალთვალის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს, ვალდებულია, მიმართოს სასამართლოს და დაასაბუთოს, რატომ შეუქმნის საფრთხეს სამართალწარმოებას ასეთი შეტყობინება“.**

პირს მის მიმართ ფარული ღონისძიებების განხორციელების გასაჩივრება სააპელაციო სასამართლოში შეუძლია და თუ სასამართლო მის სარჩელს კანონიერად სცნობს, ფარულად მოპოვებული ინფორმაციები დაუყოვნებლივ განადგურდება.

„ინტერპრესნიუსი“

„სამი ვარსკვლავგოგონა და სამი თაღლითი მებრძვის!“

კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე კახა ცაბაძე ციცისმწამებლების დასჯას ითხოვს

გიორგი გიორგაძე

კომპოზიტორთა კავშირში სკანდალი მძაფრდება — შაბათს, 17 მაისს, რამდენიმე კომპოზიტორი რიგგარეშე ყრილობის მოწვევასა და კავშირის თავმჯდომარის კახა ცაბაძის გადაყენებას გეგმავს. წესდებით, რიგგარეშე ყრილობის მოწვევა კავშირის წევრთა ერთ მესამედს შეუძლია. ამ ეტაპზე კი, თურმე, სულ 22 ხელმოწერაა... ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ აღმაშენებლის №123-ში მდებარე ფართი, რომელიც კომპოზიტორთა კავშირის საკუთრებაა და რომელიც, ერთწლიანი პაუზის შემდეგ, 1 მარტს არაბზე გაქირავდა, არასრულწლოვანთა პროსტიტუციის კერაა. „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში კახა ცაბაძე აცხადებს, რომ ამ ინციდენტის გამოძიება პოლიციას თავად სთხოვა. მოკვლევით დადგინდა, რომ ზემოხსენებული ინფორმაცია სიცრუეა, რასაც თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-5 განყოფილების წერილიც (№0004902573) ადასტურებს... კახა ცაბაძე, მის წინააღმდეგ მოწყობილი ინტრიგის მთავარ ღერძად ბარამ ბარამიძეს მიიჩნევს.

— არსებობს გარკვეული ჯგუფი. მას სათავეში, პირდაპირ ვიტყვი, ბარამ ბარამიძე უდგას, რომელიც ქორეოგრაფიული საზოგადოების ხელმძღვანელობიდან თავის დროზე კონტროლის პალატის დასკვნის საფუძველზე გაათავისუფლეს, ასევე გაათავისუფლეს ფილარმონიიდან.

— ბარამ ბარამიძე რატომ გებრძვით?

— ბარამიძე ამბობს, თითქოს მხოლოდ ორი მომხრე მყავს, მაგრამ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ ორჯერ ხმების უმრავლესობით ამირჩიეს და ორივეჯერ ჩემი კონკურენტი ბარამიძე იყო. როგორც კი თავმჯდომარედ ამირჩიეს, კავშირის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება, ფართები გამგეობის გვერდისავლით არ გაქირავებულიყო, მაგრამ ბარამი ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა და, როგორც მუსფონდის თავმჯდომარემ, ყაზბეგის გამზირზე მდებარე ფართი გააქირავა. ამ უღირსი საქციელისთვის გამგეობამ დირექტორობიდან გაათავისუფლა. მან ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და წააგო. სხვათა შორის, გამგეობის ამ სხდომაზე ნარკომანობა დამწამა, რაც გამგეობის წევრებს სასაცილოდაც არ ეყოთ. აღნიშნეს, რომ მისი სხვა არგუმენტებიც ასეთივე „სიმართლეა“. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი, ჩვენი კოლეგა შალვა დავითაშვილი რომ გარდაიცვალა, ბარამ ბარამიძე სახლ-მუზეუმის დირექტორობას აპირებდა, მაგრამ იქაც წინ ჩემი კანდიდატურა დახვდა და ისევ ჩემი დისკრედიტაცია დაიწყო. მოკლედ, ისე გამოვიდა, ბარამ ბარამიძეს ყველგან გადაველობე... კომპოზიტორთა კავშირი რომ გადავიბარე, გარდა იმისა, რომ აუდიტი ავიყვანე და ყველაფერი აღვწერე, ოპერატორს გადავაღებინე, რა მდგომარეობაში იყო ჩვენ დაქვემდებარებაში მყოფი სხვადასხვა ობიექტი. მაშინ შენობა მოსკოვის პროსპექტზეც გვქონდა, რომელიც დანგრეული იყო და ამ საოცარ ანტისანიტარიაში ლიმონათს ასხამდნენ. იქვე კუბოების ცეხიც იყო გახსნილი, მაგრამ ეს ამბავი არ გავახმაურე — ჩავთვალე, რომ ყველაფერი მხოლოდ ერთი ადამიანის კი არა, მთელი კომპოზიტორთა კავშირის დისკრედიტაცია იქნებოდა. საკითხი გამგეობაზე განვიხილეთ და ცხოვრება ახალი ფურცლიდან დავიწყეთ.

— მუსფონდი კომპოზიტორთა კავშირს ექვემდებარება?

— დიახ, ჩვენი შპს-ა.

— აღმაშენებლის №123-სა და ყაზბეგის გამზირზე მდებარე შენობებიც კომპოზიტორთა კავშირს ეკუთვნის?

— ორივე სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იყო. 2012 წელს კი, ჩემი დიდი ძალისხმევით, ეკონომიკის სამინისტრომ უზურფრუქტით გადმოგვცა. სწორედ ეკონომიკის სამინისტრომ დაგვრთო ნება, აღმაშენებლის 123-ში მდებარე ფართი, რომელზეც აჟიოტაჟი ატეხეს, გაგვექირავებინა.

— ისე, მაინცდამაინც, არაბებს რატომ მიაქირავეთ?

— მთელი წლის განმავლობაში ამ ფართის დაქირავების მსურველი ძალიან ცოტა იყო.

— რატომ?

— ყველას პატარა ფართი უნდა, ეს კი უზარმაზარი დარბაზია თავისი სათავსოებით, სადაც ადრე კაზინო იყო. სხვათა შორის, ამ არაბს უნდოდა, ხელშეკრულება პირდაპირ მასთან დამედო, მაგრამ ჩემი მოთხოვნით, საქართველოში შპს გახსნა და ხელშეკრულებაც რეესტრსა და საგადასახადოში სწორედ ამ შპს-სთან გავაფორმეთ.

როგორც კი თქვეს, რომ აღმაშენებლის №123-ში რაღაც ცუდი ხდებოდა, პირველმა მე შევიტანე პოლიციაში განცხადება და გამოძიება მოვითხოვე. აღმოჩნდა, რომ ამ გაქირავებულ ფართში მსგავსი არაფერი ხდება და ამაზე პოლიციისგან ოფიციალური პასუხიც მაქვს. ეს ჩემ ოპონენტებს არ გაუხარდებათ, რადგან თავიანთი ბინძური საქმე ჯერ ბოლომდე ვერ მიიყვანეს.

კომპოზიტორთა კავშირი საბიუჯეტო ორგანიზაცია არაა და ჩვენი ერთადერთი შემოსავალი სწორედ ფართების გაქირავებაა. ამბობენ, შემოქმედებით საღამოებს რატომ არ აწყობდაო. კონცერტებს, საღამოებს ვმართავთ და ახლაც ბავშვთა მუსიკის კვირეულისთვის ვემზადებით, მაგრამ დიდი მასშტაბები არ გვაქვს, რადგან ყველაფერს ფული უნდა. ერთი წლის განმავლობაში, თანამშრომლებს ხელფასიც არ აუღიათ და აი, ახლა, როცა ფართი გაქირავდა და დაინახეს, რომ კომპოზიტორთა კავშირი ამუშავდება, ვერ აიტანეს და აჟიოტაჟიც ატეხეს!

— ბარამიძის გარდა, სხვა კომპოზიტორებიც გიპირისპირდებიან, მაგალითად, ნუნუ დუღაშვილი, მაცაცო სეფისკვერაძე, მარიკა კვალიაშვილი, ჯუბა ჯანდიერი, ლევან კასრაძე...

— ამ სამ „ვარსკვლავგოგონასა“ და სამ თაღლითზე ჩემი დამოკიდებულება მაქვს...

— მაცაცო სეფისკვერაძე ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენზე ამბობს, რომ არც კომპოზიტორი ხართ და არც ადამიანი...

— არ ვიცი, მაცაცო სეფისკვერაძეზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ჩემსა და მის განათლებას შორის დიდი სხვაობაა, ამიტომ მისი განათლებისა და გემოვნების ადამიანისგან ასეთი შეფასება შეიძლება, სასიამოვნოც იყოს. ისე, ერთი სურათი კი მაქვს, რომელიც რამდენიმე წლის წინ, ოპერაში გამართული ჩემი საიუბილეო საღამოს შემდეგაა გადაღებული: ქალბატონი მაცაცო კულისებში ამოვიდა და დიდი სიყვარულით მითხრა, თუ როგორი კარგი კომპოზიტორი და ადამიანი ვარ.

საროსკიპოზე გადარეული ხალხი, სინამდვილეში, სხვა რამითაა აღშფოთებული და პირდაპირ ამბობს, კახა ცაბაძეს კაბინეტში მარტო მამის სურათი უკიდიაო, რაც მტკნარი სიცრუეა! კომპოზიტორთა კავშირი ჟურნალ „მუსიკას“ უშვებს, რომლის ყველა ნომერიც კედელზე მაქვს გამოფენილი. ჟურნალის ყველა ნომრის გარეკანზე სხვადასხვა ქართველი კომპოზიტორის ფოტოა დაბეჭდილი, მაგრამ, რადგან მამაჩემს ვარსკვლავი არ აქვს, „ვარსკვლავგოგონებისთვის“ გოგი ცაბაძის შემოქმედება მნიშვნელოვანი, ალბათ, ამიტომ არაა. მათი ვარსკვლავებთან დამოკიდებულება ჩემთვის ქართული მუსიკის დედოფლის, ქალბატონ მერი დავითაშვილის გარდაცვალების დროსაც გამოჩნდა — უკანასკნელ გზაზეც არ გააცილეს და გამომშვიდობების ღირსადაც არ ჩათვალეს ალბათ იმიტომ, რომ ქალბატონ მერის მიწაზე ვარსკვლავი არ ჰქონდა!.. ახლა მამაჩემის 90 წლის იუბილეა და მათზე, ალბათ, ესეც მოქმედებს! გოგი ცაბაძის სურათს რომ ხედავენ, ეს რეალობაში აბრუნებს და მუსიკალურ სამყაროში თავიანთ ადგილს ხვდებიან. ქალბატონი მარიკა კვალიაშვილი კი ცრუობს გიორგი ცაბაძის კონკურსთან დაკავშირებით, რადგან კავშირს მსგავსი არაფერი ჩაუტარებია და მეც არანაირი თანხა არ ამიღია. ისე, ქალბატონო მარიკა და ქალბატონო ნუნუ, დღეიდან მშვიდად დაიძინეთ, ჩვენს სახლში საროსკიპოს არარსებობა გამოძიებამ დაადასტურა. ამიტომ, ნუ ცდილობენ, ჩირქი მამაჩემსაც მოსცხონ!

— ბატონო კახა, კომპოზიტორთა კავშირში სულ რამდენი წევრია?

— 150-მდე.

— და 150-ვე გიპირისპირდებათ?

— არა, მხოლოდ სამი „ვარსკვლავგოგონა“ და სამი ნაძირალა.

— ბატონო კახა, ეს განცხადება შეურაცხყოფაა!

— ჯერ ერთი, ჩემი შეურაცხყოფის, პატივისა და ღირსების შელახვისთვის სასამართლოს მივმართავ და ცილისმწამებლებს პასუხს ვაგებინებ. მეორეც, აი, მაგალითად, ჯუბა ჯანდიერი, რომელიც ამბობს, რომ მუსიკოსიც არის, მხატვარიც, კომპოზიტორიც, მსახიობიც და რა ვიცი, კიდევ რა, პლაგიატია — ჟურნალისტისა და პოეტის, კირა კვეიძის ლექსები მიითვისა და როცა ამის შესახებ ქალბატონი კირას შვილი, კობა კალანდაძე დაელაპარაკა, იცით, რა უპასუხა? — შინ ხელნაწერები ვიპოვე და ჩემი მეგობაო. ამასთან, ჯანდიერი ცრუობს, როცა ამბობს, თითქოს კონკურსებს ჩუმად ვაცხადებ და ამ კონკურსებში მე თვითონ ვიგებ. კონკურსებს კულტურის სამინისტრო კომპოზიტორთა კავშირთან ერთად აცხადებს და ამის შესახებ ინფორმაცია მედიაში, მათ შორის, ინტერნეტშიც ქვეყნდება, მაგრამ თუ ნოტებთან ერთად, ინტერნეტი და კითხვაც არ იციან, ეს მათი პრობლემაა. თან კონკურსები ჟანრების მიხედვით ცხადდება, მათ კი სიმფონიურსა და კამერულ ჟანრებზე წარმოდგენაც არ აქვთ. ეს დახურული კონკურსებია და კომპოზიტორის ვინაობა მხოლოდ შემდეგ ირკვევა, რაც ჟიური ნაწარმოებს მოიწონებს და დახურულ კონვერტს გახსნის, სადაც ავტორის გვარი წერია. სხვათა შორის, ორი წელია, კონკურსებში მონაწილეობა არ მიმიღია, მატყუარა ჯუბა კი 7 პრემიის აღებას მაბრალებს.

— არც ერთ კონკურსში არ გაგიმარჯვიათ?

— კი, როგორ არა.

— ამიტომაა უხერხული, კონკურსში, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი კომპოზიტორთა კავშირიცაა, კავშირის თავმჯდომარე რომ იმარჯვებს!

— მე, რა, კომპოზიტორი არ ვარ?! კონკურსში ნაწარმოები იმარჯვებს და რა მოხდა, თუ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე მუსიკას წერს?! ვერავინ იტყვის, რომ რომელიმე ღია კონკურსში მივიღე მონაწილეობა, სადაც თავიდანვეა ავტორი ცნობილი!

— კომპოზიტორთა ჯგუფი 5 000 დოლარზეც ლაპარაკობს...

— ჯერ ერთი, 5 კი არა, 5 500 დოლარია, რაც ჩვეულებრივი საიჯარო გადასახადია, რომელიც კომპოზიტორთა კავშირის ანგარიშზე ოფიციალურად შემოდის. სწორედ ამ თანხით ვფარავთ ყველანაირ ხარჯს. ორი თვეა, ეს შემოსავალი გვაქვს და ჩემს წინააღმდეგ კამპანიაც სწორედ იმიტომ დაიწყო, რომ კავშირი შეიძლება, კარგად ამუშავდეს... ინტერვიუზეც იმიტომ დაგთანხმდით, რომ საზოგადოებამ ყველაფერი გაიგოს, თუმცა ყველაფერი ძალიან შერბილებულად ვთქვი. საერთოდ, დღეს ვიღაცის გალანძღვა მოდურია, თუმცა ამ სამი „ვარსკვლავგოგონასა“ და სამი თაღლითის აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანი არც არის, რადგან კომპოზიტორთა კავშირში 150 წევრია და ყველა კარგად მიცნობს. საზოგადოებაში ჩემი სახელის გატეხვა კი ტყუილითა და ცილისწამებით არცთუ ადვილია!

ვერსიანიუსი

მოქალაქეთა პირადი მონაცემების შემცველი ელექტრონული ბაზების გაყიდვის ფაქტები გახშირდა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინფორმაციით, ბოლო პერიოდში მოქალაქეთა პირადი მონაცემების შემცველი ელექტრონული ბაზების გაყიდვის ფაქტები გახშირდა.

ერთ-ერთი შეთავაზების თანახმად, 1 400 000 კერძო პირის სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, ტელეფონის ნომრისა და მისამართის ღირებულება 100 ლარია, ხოლო 120 000 კერძო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართის ფასი 70 ლარია: **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისადმი მსგავსი ფაქტებით შეშფოთებული მოქალაქეების მიმართვიანობა საგრძნობლად იზრდება. პირადი ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზების ყველა პოტენციური მყიდველი ხდება მონაცემთა დამმუშავებელი, იგი ვალდებულია, დარწმუნდეს მონაცემთა მოპოვება/შეგროვების კანონიერებაში და უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა, მათ შორის მოქალაქის ინფორმირება, მისი მოთხოვნის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, უსაფრთხოება და სხვა“.**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოუწოდებს მონაცემთა ბაზების მფლობელებსა და პოტენციურ შემძენებს, პატივი სცენ საქართველოს მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას და თავიანთი საქმიანობა განახორციელონ კანონის ფარგლებში.

„ინტერპრესნიუსი“

„ნაციონალურ მოძრაობაში პიარის დიდოსტატები არიან“

რომელ მუნიციპალიტეტში არ გამორიცხავს ზაქარია ქუცნაშვილი მეორე ტურს

ირუსუდან შელია
557-100-768

ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრობასთან მუდმივად თავისმართლების რეჟიმში დებატობს. არც იმის აღიარება უჭირს, რომ საპარლამენტო უმცირესობაში პოლიტტექნოლოგიების დიდოსტატები არიან, თუმცა ვითარების შესაცვლელად, თანაგუნდელებს ეფექტური და სწრაფი რეფორმების განხორციელებისკენ მოუწოდებს. შეძლებს თუ არა ნაციონალური მოძრაობა მასშტაბური აქციების დაწყებასა და თანამდებობიდან პრემიერის გადაყენებას, ამასთან, რატომ არ კარგავს აქტუალობას ხელისუფლებაში შეთქმულების თეორიები? მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს „ვერსიასთან“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი აფასებს.

— ტრადიციულად, ნაციონალური მოძრაობა წინასაარჩევნო კამპანიას ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებით იწყებს — ეს მათი პოლიტიკური სტილია. ადრე ამას ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის აკეთებდნენ, ახლა ხელისუფლების შესუსტება სურთ. ამასთან უნდათ, საზოგადოებაც დაარწმუნონ — მართალია, ადრე გისმენდით, მაგრამ „ქართული ოცნება“ ჩვენზე უარესია და დღემდე ტოტალურ მოსმენებს ახორციელებსო.

— ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების მისამართით მუქარის მესიჯებსაც ახმოვანებს — სოციალურ ქსელში საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები პრემიერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის გადაყენებას აქტიურად ითხოვენ და მასშტაბური აქციებით იმუქრებიან.

— დიახ, მსგავსი მეთოდებით ქვეყანაში არასტაბილურობის განცდის შექმნა სურთ. „ქართულ ოცნებას“ კი, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პოლიტიკური მიზნებისთვის ფარული ჩანაწერები არასოდეს გამოუყენებია. ეს პრაქტიკა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდა! რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის გეგმებს, პრინციპში, რამდენიმე დღით საზოგადოების ყურადღების მიპყრობა უკვე მოახერხეს, თუმცა ვიმეორებ, ეს ის პოლიტიკური ხერხია, რომლითაც „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია სურთ.

— „ქართული ოცნება“ კი კვლავ თავისმართლების რეჟიმშია და საქმის სწრაფად გამოძიების ნაცვლად, პოლიტიკური განცხადებებით შემოიფარგლება.

— სიმართლეა! ხშირად გვაყენებენ მდგომარეობაში, როცა ნაციონალურ მოძრაობას უნდა ვუმტკიცოთ, ცუდი, უკანონო და ამორალური პრაქტიკის დამკვიდრებლები, მართლები არ ხართ, ჩვენ თქვენსავით არ ვიქცევითო. ამ მიმართულებით ნაციონალურ მოძრაობაში დიდოსტატები არიან! მიხეილ სააკაშვილი ცხრა წლის განმავლობაში შევარდნაძის ხელისუფლებაში მინისტრისა და უმრავლესობის ლიდერის სტატუსით იყო, თუმცა იმდენი მოახერხა, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას გაექცა და 2003 წელს საზოგადოებას მხსნელად მოევლინა. ამის შემდეგაც, 9 წლის განმავლობაში, ქვეყანას ერთპიროვნულად მართავდა, ახლა კი იმ საქმეებში გვდებს ბრალს, რაც მემკვიდრეობით თავად დაგვიტოვა. აი, ამაში ნაციონალური მოძრაობა ნამდვილად გვჯობნის, პიარტექნოლოგიებში ჩვენზე კარგად ერკვევიან.

— და არ ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური სისუსტე ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებაში დაბრუნების შანსს უზრდის? თანაც დღემდე არ კარგავს აქტუალობას თემა, რომ საპარლამენტო ოპოზიცია კოალიციის წევრ რამდენიმე პარტიასთან ერთად გადატრიალებას ამზადებს.

— პოლიტიკოსებს უყვართ საკუთარი თავის სენსაციური თემებით აქტუალიზება, მაგრამ ეს ისეთივე რეალობაა, ვიღაცამ დაიჯეროს, თითქოს „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთი პოლიტიკური ძალაა.

— საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის გარიგებაზე საზოგადოების ნაწილი ისედაც ალაპარაკდა.

— მესმის, არსებობს საკითხები, რომელზეც ჩვენი საერთო აზრი საზოგადოებაში შეთანხმებული თამაშის განცდას იწვევს, თუმცა ხელოვნურად ოპოზიციას არც შევქმნით და არც გავაძლიერებთ. ნაციონალურ მოძრაობას მეორე ოპოზიციურ ძალად დამკვიდრება, განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ოსტატურად გამოუვიდა, მაგრამ თვითმმართველობის არჩევნებში იმავე შედეგის დადებას რამდენად მოახერხებს, მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს. ისე, ფაქტია, საზოგადოებისთვის ნაციონალური მოძრაობის წარსულის ხშირი შეხსენება კონტრასტის წარმოჩენის შესაძლებლობას გვაძლევს. მათთან ოპონირება გვიადვილებს იმის ჩვენებას, რა იყო პირველ ოქტომბრამდე და ახლა რა გვაქვს.

— „ქართული ოცნება“ წელიწადნახევარია გადაბრალების რეჟიმშია, მაგრამ საზოგადოება წარსულის მუდმივი შეხსენებით დაიღალა და თქვენგან დაპირებების შესრულებას ელის. „ნაციონალურ 9 წელზე“ მუდმივი აპელირებით ამომრჩევლის შენარჩუნებას შეძლებთ?

— რასაკვირველია, არა! ადრე აღვნიშნე, რომ 2014 წელს, უკიდურესი შემთხვევების გარდა, საზოგადოებასთან ურთიერთობისას, ნაციონალების წარსულზე საუბარი აღარ გამოგვადგებოდა, მაგრამ არის საკითხები, რომელთა ხსენებისას, 9-წლიან პერიოდზე აპელირება გამართლებულად მიმაჩნია. მაგალითად, არჩევნებამდე ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების პრაქტიკა მათი დანერგილია. კარგად გვახსოვს კადრები ძმებ ბერძენიშვილებზე, ზვიად ძიძიგურზე, ბადრი პატარკაციშვილზე, ბიძინა ივანიშვილზე... ჩვენთვის ნაციონალური მოძრაობის ქმედებებზე საუბარი ადვილია, მაგრამ საზოგადოება ამით არ უნდა დავღალოთ. პირიქით, საქმის კეთების ტემპი და ეფექტურობა უნდა გავზარდოთ. არადა, დღემდე ვამტკიცებთ, ღმერთმა დაგვიფაროს, ნაციონალების მსგავსნი არ ვართო... საპარლამენტო უმცირესობა კი ჭაობში გვითრევს და გვეუბნება, არა, ჩვენნაირები ხართო. ამ ვითარებიდან გამოსვლას მხოლოდ სწრაფი და ეფექტური რეფორმებით შევძლებთ.

— რაც ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა?

— ჩემი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმეები გაკეთდა, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებამდე უნდა მივიტანოთ. ამომრჩევლისთვის ჩვენი გეგმების გასაცნობად, წინასაარჩევნო კამპანიას მაქსიმალურად გამოვიყენებთ.

— ისე, არჩევნებში გამარჯვების მეტი შანსი რომ გქონოდათ, არასაპარლამენტო ოპოზიცია წინასაარჩევნოდ თანაბარ მდგომარეობაში ამიტომ არ ჩააყენეთ?

— მარტივია — პოლიტიკაში გარკვეული სტანდარტები არსებობს. მაგალითად, პოლიტიკურ პარტიას ამომრჩევლის 1%-იანი მხარდაჭერა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცეს. კვალიფიციური სუბიექტის სტატუსის მოსაპოვებლად და თანმხლები პრივილეგიებით სარგებლობისთვის კი, 3%-იანი ბარიერის გადალახვა აუცილებელია. კვალიფიციური სუბიექტისთვის დადგენილი მინიმალური სტანდარტი რომ მოვხსნათ, ჩათვალეთ, პოლიტიკურ პარაზიტებს უფრო წავახალისებთ. შედეგად, 300 პარტიის ნაცვლად, ათას პოლიტიკურ ძალას მივიღებთ.

— ანუ პოლიტიკური ველის გასუფთავება დაისახეთ მიზნად?

— არა, ჩვენი მიზანია პარტიული დემოკრატიის წახალისება პარტიული პარაზიტების გარეშე. სამწუხაროდ, საქართველოში პარტიული თანამდებობის დაკავება ხელმოცარული ადამიანებისთვის პროფესიად იქცა. ჩვენ კი, კვალიფიციური და ძლიერი პარტიები გვჭირდება. ამჟამად, საარჩევნო კოდექსში დადგენილი სტანდარტები ევროპულს სრულად შეესაბამება. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პროგნოზის გაკეთებას მოვერიდები, რადგან შესაძლოა, არასაპარლამენტო ოპოზიციას გაუღრმავდეს განცდა, ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას მეორე ან მესამე პოზიციაზე გამყარებაში ხელს უწყობენო. ვფიქრობ, 15 ივნისს საკმაოდ საინტერესო შედეგებს მივიღებთ.

— „საინტერესო შედეგში“ რას გულისხმობთ, „ქართული ოცნების“ ყველა კანდიდატი არჩევნებში გამარჯვებას შეძლებს?

— იქნება მუნიციპალიტეტები, სადაც გარკვეულ შედეგებს ნაციონალური მოძრაობა მიაღწევს, მაგრამ არც სხვა ოპოზიციური ძალების წარმატებას გამოვრიცხავ. ზოგადად, ადგილობრივი არჩევნები სხვა სპეციფიკაა, სადაც ამომრჩეველთა ხმები ერთი ყულაბის პრინციპით არ ითვლება. ზუგდიდში საკმაოდ სერიოზულ კონკურენციას ველი და არც მეორე ტურის დანიშვნას გამოვრიცხავ. ხოლო მეორე ტურში გამარჯვება თავად პოლიტიკურ ძალაზე იქნება დამოკიდებული. თუ შეცდომებს დავუშვებთ, სხვები გაიმარჯვებენ და, თუ მოწინააღმდეგე სუსტი აღმოჩნდება — ჩვენ. ყველაფერს თავისუფალი არჩევნები გადაწყვეტს. რაც მთავარია, გამარჯვების მოსაპოვებლად ძალადობასა და ამომრჩეველზე ზეწოლას არ ვაპირებთ.

— სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით თბილისშიც მეორე ტურია მოსალოდნელი.

— თბილისში მეორე ტურს არ ველი. არ გვაქვს განცდა, რომ არჩევნებში მონაწილეობას 800 ათასივე ამომრჩეველი მიიღებს. შესაბამისად, ხმები არჩევნებში მონაწილე პირების მიხედვით დაითვლება. 38%-იანი სასტარტო მდგომარეობა მეორე ტურის შანსს არ ტოვებს. ამ მიმართულებით საკმაოდ გამოცდილი ვარ, ამიტომ შეგიძლიათ, ჩემ პროგნოზებს ენდოთ.

ალექსანდრე ჭიკაიძე აზერბაიჯანის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის უფროსს ელჩინ გულიევს შეხვდა

შეხვედრაზე მხარეებმა საზღვრის დაცვის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის საკითხები, სამომავლო გეგმები და ერთობლივი პროექტების განხორციელების პერსპექტივები განიხილეს. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ რეფორმებსა და ამ მიმართულებით დაგეგმილ სხვა ღონისძიებებს.

ალექსანდრე ჭიკაიძე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტს აგრძელებს. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა შეხვედრები აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან და შინაგან საქმეთა მინისტრ რამილ უსუბოვთან გამართა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 16 მაისს დასრულდება.

„პირველი“

„უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან აქტიური მოლაპარაკებები უკვე იწყება“

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, პროექტების განხორციელების შედეგად ქვეყანას თვისებრივად ახალი ტიპის სპეციალისტები ეყოლება: **„მიხარია, რომ ჩემმა ინიციატივამ ასეთი დიდი დაინტერესება გამოიწვია და ამდენ მონდომებულ ახალგაზრდას ვხედავ. საგანმანათლებლო კერები ჩვენში უძველესი დროიდან იყო.**

დღეს სრულიად ახალი რეალობის, ახალი გამოწვევების წინაშე ვდგავართ. საქართველოს სჭირდება კვალიფიციური კადრები, რომლებსაც ექნებათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები. გვესმის, რამდენად პერსპექტიულია სახელმწიფო, რომელსაც განათლებული და პროგრესული ახალგაზრდობა ჰყავს. თანამედროვე ეპოქაში მხოლოდ განათლებული და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი ადამიანები აღწევენ წარმატებას. სახელმწიფომ კი ასეთი ადამიანების რესურსი მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს. ამისთვის შევქმენით განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც განსხვავებული მიდგომით აფინანსებს სტუდენტების სწავლებას.

შევარჩიეთ დარგები, რომელთა განვითარებაც ყველაზე მეტად სჭირდება საქართველოს ამ ეტაპზე და განვსაზღვრეთ პრიორიტეტები, რომლის დაფინანსებასაც ვაპირებთ. ადრეც არსებობდა მსგავსი პროექტი, რომელიც უცხოეთში სწავლას უფინანსებდა ახალგაზრდებს, მაგრამ ეს სისტემა არ იყო გამჭვირვალე. შევიმუშავეთ სრულიად გამჭვირვალე და სამართლიანი შერჩევის წესი, რომელიც გამორიცხავს რაიმე ტიპის პრივილეგიებს.

განათლების საერთაშორისო ცენტრი ორიენტირებულია სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე. ცენტრისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სტუდენტების დაფინანსება, რომლებსაც სახელმწიფო დახმარების გარეშე უცხოეთის ძვირადღირებულ უნივერსიტეტებში სწავლის შესაძლებლობა არ ექნებოდათ. მთავარი სიახლე, რაც ჩაიდო ცენტრის კონცეფციაში ისაა, რომ სტუდენტები დაბრუნების შემდეგ სახელმწიფო სამსახურში დასაქმდებიან და თავით ცოდნას ჩვენს ქვეყანას მოახმარენ.

გარდა ამისა, განათლების ცენტრი უზრუნველყოფს არა მხოლოდ ჩვენი სტუდენტების საზღვარგარეთ გამგზავრებას, არამედ ადგილზე სხვადასხვა სასწავლო სემინარისა და კურსების მოწყობას, რომელსაც გაუძღვებიან უცხოეთიდან მოწვეული პროფესიონალები. ამ პროექტების განხორციელების შედეგად ქვეყანას ეყოლება თვისებრივად ახალი ტიპის სპეციალისტები, რომლებიც ცოდნასა და გამოცდილებას სახელმწიფოს მშენებლობას მოახმარენ.

უკვე იწყება აქტიური მოლაპარაკებები უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან. ჩვენ ვთანამშრომლობთ შესაბამის საელჩოებთან და ველით სასურველ შედეგებს“.

„პირველი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ოცნებას“ საბოტაჟს უწყობენ“

ვინ არიან „პირუტყვები“ და „ხარაბუზები“ ქართულ პოლიტიკაში და როგორ მოხვდა კოალიციის მაჟორიტარების სიაში გენერალი კობა კობალაძე

ავჭალის, ზაჰესის, გლდანულისა და კონიაკის დასახლების მაჟორიტარობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ გენერალი კობა კობალაძეა. მუხროვანის ამბოხის საქმეზე დაჭერილი, სააკაშვილის რეჟიმის პოლიტიკურ პატიმრად აღიარებული და შემდეგ სასამართლოს მიერ გამართლებული კობალაძე დღემდე არასამთავრობო ორგანიზაცია „გენერალთა კლუბს“ ხელმძღვანელობს, თუმცა დროის დეფიციტის გამო, ალბათ, დამფუძნებელი კრება ამ პასუხისმგებლობას სხვას გადააბარებს. გენერალი აღარც ნანა კაკაბაძის გვერდით ჩნდება პოლიტპატიმრებისა და ადამიანის უფლებადამცველთა რიგებში. მოკლედ, როგორ მოხვდა ხელისუფლების ოპონენტების ბანაკიდან „ოცნების“ საარჩევნო სიაში და რას პირდება 35 000 ამომრჩეველს — „ვერსია“ კობა კობალაძეს ესაუბრება.

— რა გაკავშირებთ დედაქალაქის იმ უბნებთან, სადაც „ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატად დაგასახელათ?

— რას ჰქვია, რა მაკავშირებს? რა მაკავშირებდა საქართველოს იმ ტერიტორიებთან, სადაც ბრძოლებში ჩავები? კითხვის არსს ვერ ვიგებ, ან საკითხი ასე დავსვათ — რა მაკავშირებს საქართველოს სხვა ნებისმიერ კუთხესთან? მარტო ავჭალის მოსახლეობას შესტკივა გული ავჭალაზე, თუ ავჭალის პრობლემებზე ზრუნვის ექსკლუზიური უფლება მარტო ამ რაიონის მაცხოვრებელს აქვს? მე ვარ ამ ქალაქის მოქალაქე და ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რომელ რაიონსა თუ უბანში მანდობს მოსახლეობა მანდატს.

— მაგრამ მოსახლეობისთვის აქვს მნიშვნელობა, ვის ანდობს მანდატს... ამიტომ გკითხეთ, რატომ დაგასახელეს ავჭალაში და არა, ვთქვათ, მთაწმინდაზე?

— სადაც დამასახელეს, იქ ვიყრი კენჭს. იმედი მაქვს, ნდობას გავამართლებ და ღირსეული მაჟორიტარი ვიქნები. ამომრჩევლის რაოდენობა კი ამ უბნებში 35 000-ს აღწევს.

— „ოცნების სიაში“ როგორ მოხვდით, ვინ გაგიწიათ რეკომენდაცია?

— ეს ის შემთხვევა არ არის, როცა საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა. თქვენ მე ტყვედ გყავართ აყვანილი და ტყვეებს, მით უმეტეს სამხედროს, ჟენევის კონვენცია იცავს.

— გისმენთ ყურადღებით...

— არ ვიცი... მე ნდობა გამომიცხადეს, შესაძლებლობა მომცეს, გულშემატკივრის როლიდან გამოვიდე და მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაზე უშუალო პასუხისმგებელი გავხდე. ჩემი კანდიდატურის წინააღმდეგ ნაციონალური მოძრაობის გარკვეულმა ჯგუფმა დიდი ისტერიკა გამართა, თურმე ამ ქვეყანაში იმას, ვისაც ნაციონალების დამღა არ ადევს, არც ცხოვრების, არც მოღვაწეობისა და არც სუნთქვის უფლება აქვს. მე ხომ „ოცნების“ მიერ დანიშნული კაცი არ ვარ, ადგილზე ხალხმა უნდა ამირჩიოს. მთლიანად იმ ნდობაზე ვარ დამოკიდებული, რომელსაც მოსახლეობა ან გამომიცხადებს, ან არა.

— გამოდის, პოლიტიკური კარიერა დაგიწყიათ?

— თუ ძალიან გაინტერესებთ, გეტყვით, რომ პარტია „ქართული ოცნების“ წევრი არ ვარ. ჩემი აზრით, მე იმ პარტიას წარმოვადგენ, რომელსაც საქართველოს შეიარაღებული ძალები ჰქვია. ვერ დამისახელებთ ვერცერთ ვიწროპარტიულ მუშაკს, რომელსაც ქვეყნის წინაშე მეტი ვალდებულება აქვს, ვიდრე ჯარისკაცსა და ოფიცერს. და საერთოდ, რას ითვალისწინებს პოლიტიკაში მოსვლა? პოლიტიკოსები არიან პარლამენტში, ჩვენ მუნიციპალიტეტის არჩევნების პროცესში ვართ და ეს პოსტი გაცილებით მეტ სამეურნეო საქმიანობას მოიცავს, ვიდრე ერთმანეთის ბოსტანში ქვების სროლას. დამიჯერეთ, ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვლება, როცა ბრალმდებელ, არაკომპეტენტურ ხალხს საქმის მკეთებელი შემადგენლობა ჩაანაცვლებს. ამ დღეებში კიდევ ერთხელ გაჟღერდა — რა უნდა კობალაძეს საკრებულოში, იქ რა უნდა აკეთოსო. მინდა, ამ ხალხს ვუპასუხო — საკრებულოში ჩემი ქვეყნისა და ქალაქის საქმე უნდა ვაკეთო და არა სიბეცე და სიბოროტე.

— ამ თემას ისე შეეხეთ, გამოდის, მუხროვანის საქმესთან დაკავშირებით თქვენს წინააღმდეგ ანტიპიარი ისევ მიდის?

— ესენი არიან ხარაბუზები. მერე ერთს რომ შემოსტკიცავ, უცებ, აღმოჩნდება, რომ ბუზებიდან ზეწოლის მსხვერპლად იქცნენ. ამბობენ, თურმე კორუმპირებული ვყოფილვარ და ა.შ. „ნაციონალების“ სასამართლომ გამამართლა და სრულიად უდანაშაულოდ მცნო იმ ბრალდებებში, რასაც ესენი დღემდე ბრმად მიყენებენ. ანუ ეს ხალხი მართლა ხარაბუზების შემადგენლობაა, რომელთაც პირუტყვის პოზა უჭირავთ. პირუტყვს რა შველის — გრძელი სახრე! სამართალმა პური უნდა ჭამოს და სამართალი პურს შეჭამს!

— როგორ, სახრის გადაჭერით?

— ხარაბუზას თავს რომ წააწყვეტ, ტანი მაინც ბზუის, რომ იცოდეთ. ჰოდა, ასე არიან ნაციონალებიც — თავი ზის ამერიკაში, გაქცეულ სააკაშვილს ვგულისხმობ და ესენი აქ გუგუნებენ! მიშიკომ ხომ უკბინა ქვეყანას და გაიქცა, გავარდა გაგიჟებული მოზვერივით, ლამის მთელი ქვეყანაც გადაიყოლა!

— და ბატონო კობა, გენერალთა კლუბის ლიდერად რჩებით თუ არა?

— გენერალთა კლუბის წესდება საზოგადოებრივ აქტივობას არ მიკრძალავს. შეიკრიბება კლუბის დამფუძნებელი კრება და შესაბამისად, შესაძლოა, უფლებამოსილება სხვას დაეკისროს, ვისაც მეტი დრო და შესაძლებლობა ექნება და გაორებული არ იქნება. თუ ავჭალის მოსახლეობამ ნდობა გამომიცხადა, რეალურად, მთელი ჩემი დრო და ენერგია ამ საბრძოლო ამოცანის შესრულებას უნდა შევალიო, თუ წინ სხვა შემდგომი ამოცანა არ დამისვეს.

— სხვა შემდგომი ამოცანა რა უნდა იყოს, პოლიტიკურ კარიერას გააგრძელებთ?

— მარტო კაცი ჭამაშიც ცოდვაა, ასე რომ, არავინ არაფრის გამკეთებელი არაა, თუ გუნდური პრინციპით არ იმუშავა. ჩემ მიერ არც მიტოვებული და არც სანახევროდ გაკეთებული საქმე უნახავს ვინმეს. მაქსიმალისტი ვარ ერთგულებაშიც, მეგობრობაშიც და პასუხისმგებლობის ტარებაშიც. თავიდან ბოლომდე გათავისებული მაქვს ის პასუხისმგებლობა, რაც უნდა ვიტვირთო.

— ცოტა ხნის წინ ნანა კაკაბაძესთან ერთად ადამიანის უფლებებს იცავდით. სხვათა შორის, დიდად არც ამ ხელისუფლების გვერდით მოიაზრებოდით. დღეს კაკაბაძე „ოცნებას“ ისევ უპირისპირდება, თქვენ კი „ოცნების“ კანდიდატებს შორის ხართ. რატომ და როგორ გაიყო თქვენი გზები?

— ქალბატონი ნანას მიმართ ჩემს უდიდეს პატივისცემას ვადასტურებ, თუმცა საერთო ორგანიზაციაში გაერთიანებულნი არასოდეს ვყოფილვართ. უბრალოდ, ჩვენი შეხედულებები პოლიტიკური პატიმრების თემაზე ერთმანეთს ემთხვეოდა. აქვე განიხილებოდა მუხროვანის ამბოხისა და სხვა პოლიტიკური მოტივებით დაკავებული ადამიანების საკითხიც. დღესაც ამ პოზიციაზე ვრჩები — მრავალი საქმე, რომელიც პოლიტიკური ნიშნითაა შეკერილი, გადახედვას საჭიროებს. გენერალთა კლუბმა თხოვნით მიმართა პრემიერსა და გენპროკურორს, 2008 წლის აგვისტოს ომის დეტალები გამოიძიონ. ამას დღესაც ვითხოვ. ნუ იფიქრებთ, თითქოს, ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში ვიყავით და უცებ ვიღაცამ გამოყოფა გადაწყვიტა.

— იმ აზრზე თუ რჩებით, რომ სამართლიანობის აღდგენამდე ჯერ ძალიან შორია?

— შორი და ახლო რა არის? არა მგონია, ეს ძალიან შორი პერსპექტივა იყოს. გააჩნია, თქვენთვის შორი რა არის, ასწლეული? 9 წლის განმავლობაში ამ ქვეყანას მარჯვნივ და მარცხნივ აჭენებდნენ. 1,8 წელია რაღაც იცვლება, მაგრამ რას ვხედავთ — ერთი ხელს უწვდის, მეორე ხელზე აფურთხებს! მარტო თბილისში, ყველა ადგილზე იმას ვხედავთ, რომ „ოცნების“ წინააღმდეგ საბოტაჟი მიდის. ეს პროცესი კი იმისთვისაა გამიზნული, დედაქალაქის მოსახლეობა მმართველი გუნდის უსუსურებაში დაარწმუნონ!

— ამ საბოტაჟს გაკეთებული საქმეები უნდა დაუპირისპიროთ. რა პრობლემები აწუხებს თქვენი რაიონის 35 000 ამომრჩეველს და რას პირდებით მათ მოსაგვარებლად?

— როგორ ფიქრობთ, ქათამი უფრო ადრე გაჩნდა თუ კვერცხი?! ჰოდა, რომელი უფრო პრიორიტეტულია ადამიანისთვის, სასმელი წყლის მიწოდება, თუ კანალიზაციის შეკეთება? ალბათ, უმთავრესი პრობლემა ისაა, რომ ავჭალის მოსახლეობას დედაქალაქის ფარგლებში ცხოვრების განცდა არ აქვს. გზები კატასტროფულ მდგომარეობაშია. ამ ტრასაზე მოძრაობენ მაღალი გამტარობის სატვირთოები, არის რკინიგზის ხაზიც, რომელიც საცხოვრებელ სახლებს აზიანებს და ამის გამო დღეს ავჭალაში ბევრი შენობა ავარიულია. მოუწესრიგებელია საგზაო მაშუქები, საგზაო მოძრაობის შემანელებლები საერთოდ არ არსებობს, რაც ადგილობრივებისთვის დიდი საფრთხეა. არაა სანიაღვრე სისტემები, ნორმალური ტრანსპორტი — ავჭალელი საღამოს 9 საათზე ქალაქში ვერ მოხვდება, სახლში დასაბრუნებლად კი 6 კილომეტრი ფეხით უნდა გაიაროს. არ არის პარკები, სკვერები, გასართობი კლუბები, სპორტკომპლექსები, ბაგა-ბაღები. ერთადერთი პოლიკლინიკა, რომელიც არ ფუნქციონირებდა, საპარლამენტო არჩევნების წინ გაუქმდა და ადგილობრივი მოსახლეობა გლდანისა და მუხიანის პოლიკლინიკებს მიამაგრეს. რაიონში სულ ერთი-ორი აფთიაქია, სადაც ფასები ქალაქის სხვა უბნებთან შედარებით ხელოვნურადაა გაზრდილი. პრობლემატურია სახურავების გადახურვის საკითხი, რადგან ძლიერი წვიმის დროს მოსახლეობა სახლიდან წყალს დღემდე სათლით ღვრის. ფიზიკური პირი კობა კობალაძე ვერცერთ ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს. თუ ეს ყველაფერი სისტემურად არ გადაწყდა და კონკრეტულ პროგრამაში გათვალისწინებული არ იქნა, შესაბამისი დაფინანსებით, მაშინ მე ვერაფერს გავაკეთებ. თუმცა ეს ყველაფერი, მათ შორის, გზის საფარის შეკეთება, სამედიცინო უზრუნველყოფა, პარკების, სპორტკომპლექსების მშენებლობა და სხვა ყველაფერი, კარგადაა გაწერილი იმ პროგრამაში, რაც მერობის კანდიდატმა, დავით ნარმანიამ წარადგინა.

ვერსიანიუსი

სამართალდამცველებმა და-ძმა ზურაბიანებზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი დააკავეს

დაკავებული გარდაცვლილი გოგონას ყოფილი ქმარია. შემთხვევა ვარკეთილში, გახოკიძის ქუჩაზე ღამით მოხდა. ეჭვმიტანილმა რამდენიმე გასროლა განახორციელა.

27 წლის გოგონა საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, მძიმე მდგომარეობაშია მისი ძმა, რომელსაც ოპერაცია ჩაუტარდა.

და-ძმას ცეცხლსასროლი იარაღიდან ფეხის არეში მიყენებული რამდენიმე ჭრილობა აღენიშნება.

საქმე ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით აღიძრა, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

„პირველი“

26 მაისს საქართველოს 12 თვითმმართველ ქალაქში საზეიმო ღონისძიებები გაიმართება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების საორგანიზაციო კომისიის სხდომა გაიმართა.

კომისიის წევრებმა სადღესასწაულო ღონისძიებებთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელეს.

სხდომის გადაწყვეტილებით, 26 მაისს საქართველოს 12 თვითმმართველ ქალაქში საზეიმო ღონისძიებები ჩატარდება, რომელთაც საერთო ფინალი ექნებათ.

რაც შეეხება დედაქალაქს, თავისუფლების მოედანზე ფიცის დადების ცერემონია გაიმართება.

„პირველი“

მძღოლები დაჯარიმების შესახებ ინფორმაციას SMS-ით მიიღებენ

„სიტი პარკი“ ავტომფლობელებს ახალ სმს-სერვისს სთავაზობს. ამიერიდან მძღოლები დაჯარიმებისა და ევაკუაციის შესახებ ინფორმაციას მობილურ ტელეფონზე მიიღებენ.

„სიტი პარკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, ლევან ტაბიძის განმარტებით, სმს-სერვისის ჩართვის გადაწყვეტილება კომპანიამ დიდი ხნის წინ მიიღო, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ტექნიკური დეტალები გვარდებოდა. მისივე თქმით, ეს სისტემა მომხმარებლების თხოვნით დანერგეს.

რაც შეეხება სერვისის გააქტიურებას, „სი-ტი პარკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის თქმით, რეგისტრაციის სამი ხერხი არსებობს:

1. ავტომფლობელს შეუძლია სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად, შევიდეს კომპანიის ვებგვერდზე, სადაც ამისთვის სპეციალური გრაფაა. ავტორიზაციის გავლის შემდეგ, მძღოლები მიიღებენ ინფორმაციას პარკირების საშვის ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, ასევე ინფორმაციას დაჯარიმებისა და ავტომობილის ევაკუაციის შესახებ.

2. ავტომფლობელს რეგისტრაციის გასავლელად, შეუძლია მიბრძანდეს კანდელაკის 47-ში.

3. რეგისტრაციის გასავლელად შეგიძლიათ დარეკოთ კომპანიის ცხელ ხაზზე: 2 555 123

ლევან ტაბიძის ინფორმაციით, სმს-სერვისით სარგებლობისთვის ერთი მნიშვნელოვანი პირობა არსებობს, საჭიროა ავტომობილი თქვენს სახელზე იყოს რეგისტრირებული.

bpn.ge

საქართველოს მოსახლეობა 4,49 მილიონია



20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა მიგრაციულ პროცესებში ყველაზე აქტიურად მონაწილეობს.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 2014 წლის 1 იანვრის მონაცემებით 4,49 მილიონია, შარშან ამავე პერიოდში კი მოსახლეობის რაოდენობა 4,483 მილიონით განისაზღვრებოდა.

„საქსტატის“ ცნობით, მოსახლეობის 53,7% ქალაქად ცხოვრობს, 46,3% — სოფლად. მოსახლეობის 47,7% მამაკაცია, 52,3% ქალი.

„საქსტატის“ შეფასებით, 2013 წელს, წინა წელთან შედარებით 5-9 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში 0,2%-ით მატება აღინიშნება, რაც გამოწვეულია 2006 წლიდან ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის ზრდით. 2012 წელთან შედარებით, 10-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნება 0.7%-იანი კლება, მათგან 20-24 წლის ასაკობრივმა ჯგუფმა ყველაზე დიდი კლება (0,3 პროცენტი) განიცადა, რაზეც ზეგავლენა მოახდინა ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებში აქტიურად მონაწილეობამ.

2013 წელს ემიგრანტების რაოდენობა 95 0640-ია, რაც 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 5%-ით მეტია. იმიგრანტების რაოდენობა კი 92 458 გახლავთ, რაც წინა წლის მაჩვენებელს 25%-ით აღემატება. მიგრაციულმა სალდომ (სხვაობა ემიგრანტებისა და იმიგრანტების რაოდენობას შორის) 2013 წელს უარყოფითი მაჩვენებელი -2 606 ერთეული შეადგინა.

bpn.ge

ლევან კალანდაძე: „ეს ხელისუფლება წინამორბედს ემსგავსება“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონი უკვე ამოქმედდა. 15 აპრილს „კონკურენციის სააგენტო“ შეიქმნა, მაგრამ მისი სრული დატვირთვით ამუშავებამდე კიდევ დიდი დროა. კანონმდებლობით, გაწერილია პროცედურები, რაც კანონქვემდებარე, ნორმატიული აქტების მომზადებას ითვალისწინებს. „კონკურენციის სააგენტო“ პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაშია. ირკვევა, რომ მნიშვნელობა არ აქვს, იგი პრემიერს დაემორჩილება, ეკონომიკის სამინისტროს, თუ პარლამენტს, მთავარია, მმართველი ელიტის ნება, რათა ბიზნესის სხვადასხვა სფეროში არსებული მონოპოლიები დაიშალოს. მაშინ, როცა ხელისუფლება იღებს კანონს, რომლითაც სახელმწიფო კომპანია „საქართველოს ფოსტის“ მონოპოლიური მდგომარეობა გარანტირებულია, როცა მხოლოდ ფინანსთა მინისტრის ბრძანებაა საჭირო, რათა 44-მა გადამზიდავმა კომპანიამ ნორმალურად იმუშაოს და ფოთის პორტის მფლობელი, დანიური კომპანია „აი პი ემ ტერმინალსის“ დომინანტური მდგომარეობა შეჩერდეს, „კონკურენციის სააგენტოს“ ეფექტური მუშაობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. „ვერსიას“ „ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი ლევან კალანდაძე ესაუბრება.

რაფომ დაადგა „ქართული ოცნება“ კეზერაშვილი-მერაბიშვილის გზას და როგორ დაეპატრონა ფინანსთა სამინისტრო გარგრის ბიზნესს

— ბატონო ლევან, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა იმიტომ ამოქმედდა და „კონკურენციის სააგენტოც“ იმიტომ შეიქმნა, რომ 27 ივნისს ევროკავშირში ასოცირების ხელშეკრულებას ხელი უნდა მოეწეროს?

— ეს ეჭვი ლეგიტიმურია, რადგან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ქვეყანას აუცილებლად უნდა ჰქონდეს „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონი და „კონკურენციის სააგენტო“. უპრეცედენტო ფაქტია, როდესაც სახელმწიფომ გამოსცა ნორმატიული აქტი და სახელმწიფო კომპანია — „საქართველოს ფოსტის“ დომინანტური მდგომარეობა განსაზღვრა. ამ ბაზარზე არსებული 45 კომპანია, მათ შორის, საერთაშორისო ქსელის ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოში, ამ ბაზრიდან უბრალოდ, ჩააჩოჩეს. მეორე თემაა გადამზიდავი კომპანიები. ამ ბაზარზეც დაახლოებით 43 კომპანიაა, რომლებსაც უთხრეს, განზე გადგნენ, სამაგიეროდ, ერთ კომპანიას — ფოთის პორტის მმართველ დანიურ „აი პი ემ ტერმინალსს“, რომელიც ამერიკული „მაერსკის“ ჰოლდინგშია გაერთიანებული, მონოპოლისტური მდგომარეობა მიენიჭა. ამ დარგში რომ 3 000 ადამიანია დასაქმებული, აღარავის ახსოვს — იმის გამო, რომ ფოთში სხვა სამუშაო არ არის, პორტი გაჩერდება. საქართველოს განვითარების სტრატეგიის მთავარ პოლიტიკურ დოკუმენტში „2020“ გაწერილია, რომ ხელისუფლების მიზანი საქართველოში თავისუფალი საბაზრო პრინციპების დანერგვაა. მეტიც, ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო, რეგიონული მნიშვნელობის ჰაბად უნდა გადაიქცეს. როგორ მოხდება ეს, თუ საერთაშორისო გადამზიდავი კომპანიების ოპერირება კითხვისნიშნის ქვეშ დგას? ფოთის პორტის შემთხვევაში, სახელმწიფო რეგულაცია საკანონმდებლო აქტის სახით კი არ შემოიღეს, საბაჟო სამსახურებს პირდაპირი, სიტყვიერი მითითება მისცეს, რომ „მაერსკის“ კუთვნილ ტვირთს გამარტივებული საბაჟო დეკლარაციებით მოემსახურონ „მაერსკისვე“ ტერმინალში და სხვა კომპანიების ტვირთიც მის ტერმინალში განბაჟდეს, ოღონდ გართულებული საბაჟო დეკლარაციებით! ერთი მხრივ, საქმე გვაქვს არაკომპეტენტურობასა და არაკვალიფიციურობასთან. მეორე მხრივ, რასაც დავით კეზერაშვილი აკეთებდა, ეს ხელისუფლებაც იგივეს აკეთებს. კეზერაშვილის მიზანი ცნობილია, მას პირადი ინტერესი ჰქონდა. საინტერესოა, ახლა ვის აქვს პირადი ინტერესი? ყოველთვის ვამბობდით, რომ მონოპოლიები არსებობდნენ ნავთობის ბაზარზეც. ნავთობიმპორტიორების მიერ გაყიდული ყოველი ლიტრიდან კი გარკვეული თანხა ნაციონალური მოძრაობის ჯიბეში ილექებოდა. ეს ეჭვი დღემდე არავის გაუქარწყლებია და ისიც საინტერესოა, დღეს ვის ჯიბეში მიდის ეს „ზემოგება“.

— რას ნიშნავს პირდაპირი, სიტყვიერი მითითება, რომ „მაერსკის“ ტვირთი გამარტივებული, ხოლო სხვა კომპანიების ტვირთი გართულებული საბაჟო დეკლარაციებით განბაჟდეს, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში (გეზ-ი) იგივე ხალხი არ მუშაობს?

— გეზ-ში საჯარო მოხელეები მუშაობენ. ანუ, გეზ-ის თანამშრომელი, რომელიც ჩვეულებრივი მტვირთავია და მანქანაზე მუშაობს, დღეს უკვე საჯარო მოხელეა, რადგან გეზ-ი, უკვე საჯარო სამართლის იურიდიული პირია (სსიპ). რა ესაქმება სახელმწიფოს სსიპ-ებში? ხელისუფლებამ ყველა მიმართულებით, პრაქტიკულად, ყველა სამინისტროში შექმნა სსიპ-ები, რომლებიც ერთი, კონკრეტული მიმართულების მონოპოლისტური გაერთიანებებია და შესაბამისად, კომფორტული მდგომარეობა შეიქმნა. სამინისტრო უშუალოდ სამეურნეო საქმიანობას არ აწარმოებს, მაგრამ მას აქვს სსიპ-ები და შპს-ები, სადაც დასაქმებულები არიან იგივე საჯარო მოხელეები და საკმაოდ მაღალ ხელფასსაც იღებენ. ასეა ეკონომიკის სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროში და ყველგან. მეტიც, დევნილთა სამინისტრო სახლებს აშენებს, ფინანსთა სამინისტრო გარგარს ყიდის...

— უკაცრავად, რას ყიდის ფინანსთა სამინისტრო?

— გარგარს! ის მეურნეობები, რომლებიც სახელმწიფოს გადაეცა, ახლა ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ბალანსზეა და გარგარი, რომელიც ამ სათბურებსა და მეურნეობებში მოდის, ფინანსთა სამინისტრომ უნდა გაყიდოს. ხალხო, ეს ყოვლად წარმოუდგენელია, სად — ფინანსთა სამინისტრო და სად — გარგარი?! ღმერთმა ნუ ქნას, ვინმემ არასაბაზრო ფასად გაყიდოს ეს გარგარი, ახლანდელი მთავრობა თუ არა, სხვა მთავრობა აუცილებლად დაიჭერს, რადგან გარგრის რეალიზაცია სახელმწიფოს საქმე არ არის! გამოდის, ისევ სოციალისტური გზით მივდივართ, როდესაც სამინისტროებს პოლიტიკის შემუშავების კი არა, სამეურნეო ფუნქცია ჰქონდა. გასაგებია, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, შინაგან საქმეთა მინისტრს, ვანო მერაბიშვილს დევნილთა დასახლებები არ უნდა აეშენებინა, მაგრამ როდესაც ხელისუფლებაში მოხვედი, შენც იგივეს რატომ აკეთებ?

— აქამდე ინფლაციის საზომი კარტოფილი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფინანსთა სამინისტროს გარგრის გაყიდვა დაუწყია, კარტოფილს გარგარი ჩაანაცვლებს?

— მძიმე თემაა, რადგან ვხედავ, ხელისუფლება არასერიოზულ ნაბიჯებს დგამს. წინა წელს, სახელმწიფო ბიუჯეტის გარღვევის, ლარის დევალვაციის და ინფლაციური პროცესების გაღრმავების ფონზე, არ ველოდი, ხელისუფლება არასერიოზულად და ცინიკურად რომ მიუდგებოდა პრობლემებს, რასაც ეს პროცესები იწვევს. ვიდრე მთავრობის წევრები საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებასა და დაშვებულ შეცდომებზე ბოდიშის მოხდას არ ისწავლიან, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება. მნიშვნელობა არ აქვს, ინფლაცია კარტოფილზე იქნება მიბმული თუ გარგარზე. მთავარია, „კარტოფილის მენტალობიდან“ გამოვიდეთ, მაგრამ ხელისუფლებამ „ჭკუა ისწავლა“ და აღარც კარტოფილზე საუბრობს, აღარც ვანგას აუცილებლობაზე.

— 44 გადამზიდავი კომპანიის სახელით, „ისთგეით გრუპის“ ხელმძღვანელმა, ირაკლი იაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ აზრი არ აქვს ფინანსთა მინისტრთან შეხვედრას, რადგან ამ სამინისტროს წარმომადგენელს უთქვამს, სახელმწიფოსთვის ერთ ტერმინალში ტვირთების განბაჟება კომფორტულიაო. თქვენ შეხვდით ნოდარ ხადურს და ესაუბრეთ ამ თემაზე?

— კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით, ნოდარ ხადურსაც შევხვდით და ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსაც. ორივემ ერთნაირად გვიპასუხა — მზად ვართ, ეს პრობლემა გადავწყვიტოთო, მაგრამ ფაქტია, ვერ გადაწყვიტეს. პრემიერის აპარატმა მოგვცა პირობა, რომ ამ საკითხს ეკონომიკური საბჭო განიხილავს და დადებითად გადაწყვეტს, მაგრამ უკვე სამი თვე გავიდა და ამაზე არავინ საუბრობს. თუკი ფინანსთა სამინისტროს ერთ გადამზიდავთან უმარტივდება ურთიერთობა, მაშინ საქართველოში ხორბლის ერთი იმპორტიორი შემოვიყვანოთ, საწვავის იმპორტიორიც ერთი გვყავდეს.

დასასრული მე-7 გვერდზე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რატომ გაძვირდა რძე, რძის ნაწარმი, ბოსტნეული და მედიკამენტები?

ინფლაციის მიზები მოახლოებული არჩევნები და უკრაინის კრიზისია

ბოლო დროს, რძე, რძის ნაწარმი, ბოსტნეული და მედიკამენტები საგრძნობლად გაძვირდა. პროდუქტის ფასმა დაახლოებით, 20%-30%-ით მოიმატა, ხოლო მედიკამენტების ფასი თითქმის გაორმაგდა. რამ განაპირობა ინფლაციური პროცესი საქართველოში — სეზონურობამ თუ ბაზარზე არსებულმა მონოპოლიებმა? „ვერსიას“ ეკონომიკის ექსპერტი, „ჯორჯიან ბიზნეს ინსაითის“ დირექტორი, ირაკლი ლექვინაძე ესაუბრება.

2014 წლის აპრილიდან რძე, მაწონი, არაჟანი და იოგურტი თითქმის 15-20 თეთრით, ხოლო 1 კგ ყველი 2.00 ლარით გაძვირდა, 30%-იანი ზრდა შეინიშნება სხვადასხვა სახის ბოსტნეულზე. ირაკლი ლექვინაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ აპრილის მონაცემებით, ქვეყანაში ინფლაციური ფონი შეინიშნება, შარშანდელთან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონე დაახლოებით 3.5%-ია, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში სხვადასხვა პროდუქტზე ფასის მატების ტენდენციაა: **„გარდა ამისა, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი მზარდია, რაც ადგილობრივ ბაზარზეც აისახება. ხორბლის ბაზარზეც შეინიშნება ფასის ზრდა — ეს ტენდენცია უკრაინის კრიზისმა განაპირობა და ბუნებრივია, ქართულ ბაზარზეც იქონია გავლენა. ბოსტნეულის შემთხვევაში, ფასის ზრდა მოთხოვნა-მიწოდებამ განაპირობა. შარშანდელთან შედარებით, თითქმის ყველა სახის ბოსტნეული გაძვირდა, რადგან მხოლოდ მიწოდების ნაწილია შევსებული. ბოლო დროს ღვინოც გაძვირდა, რაც რუსეთის ბაზარზე გაყიდვებისა და მოთხოვნის ზრდამ განაპირობა, მაგრამ ინფლაციურ პროცესს მაინც ორი ფაქტორი — მსოფლიო ბაზარზე ნავთობისა და ხორბლის გაძვირება განაპირობებს, რაც სხვა პროდუქტის ფასის ზრდას იწვევს. შარშანდელთან შედარებით, სურსათსა და უალკოჰოლო სასმელზე 8%-იანი, ალკოჰოლურ სასმელზე 7%-იანი ზრდა ფიქსირდება, ჯანდაცვის სექტორში კი დაახლოებით 5%-იანი ზრდაა. საკვებ პროდუქტს შორის, განსაკუთრებით გაძვირდა ბოსტნეული, ბაღჩეული, რძე, ყველი და კვერცხი. არის კიდევ ერთი ფაქტორი — დაახლოებით 420 000 ადამიანს დაუბრუნდა დაუბეგრავი მინიმუმი და მიმოქცევაში ფულის დიდი მასა გამოვიდა, რაც მოთხოვნის ზრდაზე აისახა და ბუნებრივია, ამან სამომხმარებლო ბაზარზეც იქონია გავლენა. შესაბამისად, არაერთგვაროვანია იმ ფაქტორების ჯამი, რამაც ბაზარზე გაძვირების ტენდენცია შექმნა. ამ ყველაფერს, გარე და შიდა ფაქტორებიც ემატება. მთლიანობაში, ძირითადი დასახელების პროდუქტები რომ ავიღოთ, რაც სამომხმარებლო კალათში შედის, დაახლოებით, 9,5%-იანი ინფლაციაა, აქედან ყველაზე საგრძნობი სურსათისა და მედიკამენტების გაძვირებაა“.**

გარეფაქტორებზე საუბრისას, რაც ქვეყანაში ინფლაციურ პროცესს იწვევს, უკრაინის კრიზისს გვერდს ვერ ავუვლით. საქართველოს ორ ძირითად სავაჭრო-პარტნიორ ქვეყანაში — უკრაინასა და რუსეთში განვითარებული მოვლენების გამო, იქ ქართული პროდუქციის ექსპორტი შემცირდა; გარდა ამისა, უკრაინაში გრივნა, რუსეთში რუბლი და თურქეთში ლირა უფასურდება. საინტერესოა, როგორ აისახება ეს პროცესი საქართველოზე, ან რა გავლენას მოახდენს გრივნას, რუბლისა და ლირას დევალვაცია ლარის კურსზე? ირაკლი ლექვინაძე აღნიშნავს, რომ ეს ფაქტორები საქართველოს ინფლაციურ პროცესზე გრძელვადიან პერსპექტივაში აისახება, რადგან ამ ეტაპზე ასეთი გავლენა არ იგრძნობა: **„თუ სხვა ქვეყნების ეროვნული ვალუტის დევალვაციის პროცესია, ეს იმ ქვეყნებში წარმოებულ პროდუქციის გაძვირებას ნიშნავს. ბუნებრივია, ეს ყველაფერი საქართველოზეც აისახება, რადგან ადგილობრივ ბაზარზე უკრაინული, რუსული და თურქული პროდუქტის წილი დიდია. რაც მთავარია, როდესაც ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ვალუტა უფასურდება, ეს სარეზერვო ვალუტის გადინებას იწვევს ამ ქვეყნებში. ამ დროს მომგებიანი ხდება სპეკულაციური ოპერაციები, რომლებიც დოლარის გადინებასთანაა დაკავშირებული, ამიტომ გრძელვადიან პერიოდში, თუ ამ დევალვაციურ პროცესს შეუქცევადი ხასიათი მიეცემა, სავარაუდოდ, ლარის კურსზეც აისახება. ამ შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — ქვეყნის მთავარმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა ისე უნდა დააბალანსოს, ასეთი გავლენა მინიმუმამდე შეამციროს“.**

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ქვეყანაში ინფლაციურ პროცესს განაპირობებს, არჩევნებია. 2014 წლის 15 ივნისს, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უნდა ჩატარდეს. ბუნებრივია, არჩევნების წინ, სხვადასხვა სოციალურ პროექტებზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დიდი ოდენობით თანხა იხარჯება. ირაკლი ლექვინაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ მართალია, არჩევნების დროს ბიუჯეტიდან ხარჯვითი პროცესი გაძლიერებულია, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები განსაკუთრებული პომპეზურობით არ გამოირჩევა, რასაც წინა წლებში ჰქონდა ადგილი: **„მოახლოებულ არჩევნებს ინფლაციაზე მხოლოდ ერთადერთი, არც ისე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება — წინასაარჩევნო პერიოდში, ადამიანების გარკვეული ჯგუფი დაასაქმეს, რომლებიც შემოსავალს იღებენ, მაგრამ ეს იმდენად მნიშვნელოვანი თანხა არ არის, რაც სამომხმარებლო ბაზარზე აისახება. ზოგადად, ინფლაციურ პროცესში სეზონურობა და გარე ფაქტორების გავლენაა გადამწყვეტი, რასაც დაუბეგრავი მინიმუმის სახით დაბრუნებული, დიდი ოდენობით თანხაც დაემატა. მიუხედავად ამისა, ინფლაციის ტენდენცია საშიში არ არის, რადგან საქართველოს ეროვნულ ბანკს ყველა რესურსი აქვს, 3.5%-იანი ინფლაცია გააკონტროლოს. ეროვნული ბანკი ამ პროცესს დიდ საშიშროებად არ აღიქვამს, რადგან 2014 წლის აპრილში, რეფინანსირების განაკვეთი 4.0%-ზე დატოვა, რაც ნიშნავს, რომ ინფლაციის უფრო გაძლიერებას არ ელის. გარდა ამისა, გვიახლოვდება აქტიური სეზონი, ვგულისხმობ ბოსტნეულის, ხილის, ბაღჩეული კულტურების მოსავლის აღებას, რადგან სეზონის შემოსვლასთან ერთად, ამ ქვეჯგუფის პროდუქტის ფასი აუცილებლად მოიკლებს და ინფლაციურ პროცესსაც გაანეიტრალებს“.**

ეკონომიკის ექსპერტთა ნაწილი, სეზონურობის გარდა, ინფლაციურ პროცესს მონოპოლისტებსაც უკავშირებს, განსაკუთრებით კი ფარმაცევტულ ბაზარზე, რადგან პროდუქტების ბაზარი, მეტ-ნაკლებად, დივერსიფიცირებულია. „ვერსიაში“ ვწერდით, რომ საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის დაახლოებით 24%-ს შპს „ავერსი“, ხოლო 23%-ს შპს „პსპ“ ფლობს. ქვეყნის ტერიტორიის მასშტაბით, „ავერსის“ საკუთრებაში 240, ხოლო „პსპ“-ს საკუთრებაში 170 აფთიაქია. ბაზრის მსხვილი მოთამაშეები, „პსპ“ და „ავერსი“ ბაზარზე მონოპოლიურად მაღალ ფასს აწესებენ, თუმცა სხვა კომპანიის გაკოტრების მიზნით, ცალკეული მედიკამენტების ფასს ხელოვნურად აიაფებენ კიდეც. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ „პსპ“-სა და „ავერსს“ შორის, ჯენტლმენური შეთანხმებაა, რომლითაც კონკრეტული დასახელების მედიკამენტი მხოლოდ „პსპ“-ს ან „ავერსს“ შემოაქვს. გარდა ამისა, ეს კომპანიები ბაზარს ადგილობრივი პროდუქციითაც ავსებენ, სადაც დაახლოებით 70-მდე მწარმოებელია და ამ პროცესის დროს, მსხვილი მოთამაშეები დემპინგურ ფასსაც აწესებენ და ცალკეულ მედიკამენტებს, რომლებიც ექსკლუზიურად შემოაქვთ, მონოპოლიურად მაღალ ფასში ყიდიან.

ლევან კალანდაძე: „ეს ხელისუფლება წინამორბედს ემსგავსება“

მე-6 გვერდიდან

გაზის იმპორტიორი ისედაც ერთი გვყავს, აზერბაიჯანული „სოკარი“, რომელსაც მონოპოლისტური მდგომარეობა სახელმწიფომ ექსკლუზიურად შეუქმნა და მთელი საქართველო, თითქმის 100%-ით, „სოკარის“ გაზზეა დამოკიდებული. რეალურად, მსგავსი მიდგომებით იქამდე მივდივართ, რომ ბიზნესის ყველა მიმართულებით, მხოლოდ ერთი, დომინანტური კომპანიები არსებობდნენ, რომლებთანაც სახელმწიფოს ურთიერთობა „გაუმარტივდება“. ამ ფონზე, ანტიმონოპოლიური კანონის მიღება და ამ კანონის რეალურად ამოქმედების ერთი წლით გადავადება, ეჭვს ბადებს — დღევანდელი ხელისუფლება, ნელ-ნელა წინა ხელისუფლებას ემსგავსება, რომელიც მონოპოლისტების გარემოცვაში, თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობს.

— ხელისუფლება აცხადებს, რომ ბიზნესი წნეხისგან გათავისუფლდა, თავისუფალი საბაზრო პრინციპი კი „ქართული ოცნების“ პრიორიტეტია, მაგრამ ვინ ვერ ხვდება, ან ვის ინტერესშია პრობლემა, რაც გადამზიდავებსა და ექსპრესგზავნილების ოპერატორებს შეექმნა?

— გეთანხმებით, ბიზნესი წნეხისგან გათავისუფლდა, მაგრამ საინტერესოა, რომელი ბიზნესი? თუ 44 გადამზიდავი კომპანია გავაქრეთ, მაგრამ მხოლოდ ერთი „მაერსკი“ დავტოვეთ და ვთქვით, რომ ეს ერთი კომპანია წნეხისგან გათავისუფლდა, რა აზრი აქვს? მთავარია, წნეხისგან ყველა კომპანია გათავისუფლდეს და კანონიც ყველასთვის ერთნაირი იყოს! ნაციონალური მოძრაობის დროსაც თავისუფალი იყო მხოლოდ ის ბიზნესი, რომელიც მაშინდელ ხელისუფლებასთან იყო დაახლოებული, დანარჩენებს მუშაობას უკრძალავდნენ. ახლა განსხვავებული ვითარებაა — ბაზარზე არსებულ კომპანიებს ვაქრობთ და ვტოვებთ მხოლოდ ერთს, რომელსაც სახელისუფლებო წნეხისგან ვათავისუფლებთ.

— ახლადშექმნილი „კონკურენციის სააგენტო“ სხვადასხვა ბაზარზე არსებულ მონოპოლიურ მდგომარეობას შეცვლის?

— მონოპოლისტები არიან ფარმაცევტულ და ნავთობპროდუქტის, ხორბლის ბაზარზე, სადაც მხოლოდ ერთი ფიზიკური პირი, აზერბაიჯანის მოქალაქე, ასაბელ კასუმოვი ამ ბაზრის 90%-ს აკონტროლებს. მაგალითად, „საქართველოს ფოსტის“ მონოპოლიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, „კონკურენციის სააგენტო“ სულაც არ არის საჭირო. მთავარია, ხელისუფლებამ ამ სახელმწიფო კომპანიის დომინანტური მდგომარეობის განმსაზღვრელი კანონი არ მიიღოს. რაც შეეხება ფოთის პორტის მფლობელი კომპანიის დომინანტურ პოზიციას, „კონკურენციის სააგენტო“ არც ამ პრობლემის გადაჭრას სჭირდება, კონკრეტული დირექტივაა საჭირო, რომ „მაერსკი“ უპირატეს მდგომარეობაში არ ჩადგეს. ფარმაცევტული და ნავთობპროდუქტების ბაზრები კი ამ მთავრობის პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო და პრობლემების გადაჭრა „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან უნდა დაეწყო. ერთ ტექნიკურ დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას, „კონკურენციის სააგენტო“ „აუთსორსინგზე“ (აუთსორსინგი — ორგანიზაციის მიერ, სპეციალიზებული კომპანიებისათვის საქმიანობის გარკვეული სფეროების გადაცემა, რომლებიც ამ ორგანიზაციის უშუალო საქმიანობას არ ეხება, — ავტ.) არ მუშაობს. ეს ნიშნავს, რომ სააგენტოს საკუთარი, 30-კაციანი პერსონალი ჰყავს, რომლებმაც ყველა ბაზარი უნდა შეისწავლონ და კონკრეტული კვლევები დადონ. განვიხილოთ ფარმაცევტული და ნავთობპროდუქტების ბაზრები. 2015 წლიდან, „კონკურენციის სააგენტომ“ დაიწყო მუშაობა, 30-კაციანი პერსონალიდან, სადაც მძღოლები, დამლაგებლები და მდივნებიც შედიან, ანალიზს დაახლოებით, ხუთი კაცი გააკეთებს. ამ ხუთმა კაცმა უნდა დაიწყოს ბაზრის კვლევა, მაგრამ ფარმაცევტული და ნავთობროდუქტის ბაზრები სპეციფიკურია. მეტწილად საერთაშორისო ფასებზე ვართ დამოკიდებული. ანუ, კვლევა, რომელსაც „კონკურენციის სააგენტო“ დადებს, ერთი წლის შემდეგ თავიდან იქნება გასაკეთებელი, რადგან ბაზრის კონიუნქტურა შეიცვლება. როგორ ფიქრობთ, როდესაც „კონკურენციის სააგენტო“ ბაზრის კვლევას დაიწყებს, ფარმაცევტული და ნავთობპროდუქტების კომპანიები, მაგალითად, დიდი ბრიტანეთიდან არ ჩამოიყვანენ ერთ-ერთ მსხვილ, გავლენიან კონსალტინგურ კომპანიას და ალტერნატიულ კვლევას არ დადებენ? თქვენი აზრით, რომელი კვლევა უფრო კომპეტენტური, ფასეული, წონადი და არგუმენტირებული იქნება სასამართლოსთვის — „კონკურენციის სააგენტოს“ ხუთკაციანი ჯგუფის მიერ მომზადებული, თუ ლონდონის წამყვანი, „აუთსორსინგის“ პრინციპით მოწვეული, კონსალტინგური კომპანიის? ამიტომ ვეუბნებოდით მთავრობის წევრებს, რომ „კონკურენციის სააგენტოს“ მუშაობის ეს პრინციპი არასწორია და თუ სახელმწიფოს სურს, მართლაც სერიოზული, არგუმენტირებული კვლევები დადოს, რომლის საფუძველზეც ბაზარზე ცვლილებებს განახორციელებ, სწორედ სახელმწიფო უნდა წავიდეს „აუთსორსინგის“ პრინციპით და მან უნდა მოუწვიოს საერთაშორისო კონსალტინგური კომპანიები. როცა სერიოზულ, მაფიოზურ გაერთიანებებს უნდა დაუპირისპირდე (მსხვილი მონოპოლისტები სწორედ მაფიოზური გაერთიანებები არიან), ბუნებრივია, მათივე წესებით უნდა ეთამაშო, რისთვისაც სახელმწიფომ ფულიც უნდა დახარჯოს! „კონკურენციის სააგენტოს“ სახით, რეალურად, შევქმენით სტრუქტურა, რომლის სიცოცხლისუნარიანობა და მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულოვანია. თავიდანვე ყველაფერი თეთრი ძაფითაა ნაკერი და ლოგიკურად მიჩნდება ეჭვი, რომ სინამდვილეში, არავის არაფრის დანგრევა და შეცვლა არ სურს. უბრალოდ, ახალი ხელისუფლების მიერ, ძველი სიკეთეების გადმობარების პროცესში ვართ.



შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ოლეგ ბ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალების 43 აბი ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 0,344 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება ბუპრენორფინს შეიცავს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ „ბიოს“ შეძენა-შენახვისთვის ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ორი პირი — 1987 წელს დაბადებული ნოდარ ო. და 1986 წელს დაბადებული გიგა მ. რუსთავში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი ჩხრეკისას რამდენიმე შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება – ე.წ. ბიო ამოიღეს.

ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 26,78 გრ ფსიქოაქტიური ნივთიერება. ნარკოლოგიური შემოწმებისას ორივე დაკავებული ე.წ. ბიოს ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილით, რაც 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

თურქეთში აფეთქებისას 201 ადამიანი დაიღუპა

სულ მცირე 201 ადამიანი დაიღუპა თურქეთის დასავლეთით, მაღაროში მომხდარი აფეთქების შედეგად. „ბიბისის“ ინფორმაციით, თურქეთის ენერგეტიკის მინისტრის, თანერ ილდიზის განცხადებით, აფეთქების შედეგად ნანგრევებს შორის 787 ადამიანია მოყოლილი, ასობით ადამიანი კი, დაშავებულია. მისივე თქმით, აფეთქების მიზეზი მოკლე ჩართვა გახდა. თანერ ილდიზის თქმით, მაღაროელთა დაღუპვა მხუთავი აირით მოწამვლამ გამოიწვია. ტრაგედია მანისას პროვინციის ქალაქ სომაში მოხდა.

„პირველი“

გეგუთის ციხეში გარდაცვლილი პატიმრის ოჯახი ირაკლი ღარიბაშვილს მიმართავს

რა კითხვები აქვთ გიგა ფარტენაძის ნათესავებს ხელისუფლებასთან და რას სთხოვენ პრემიერ-მინისტრს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

გეგუთის ციხეში გარდაცვლილი 25 წლის გიგა ფარტენაძის ოჯახი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ღია წერილით მიმართავს. როგორც გარდაცვლილის ძმა კობა ფარტენაძე აცხადებს, მომხდართან დაკავშირებით პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელს დიმიტრი დარბაისელსა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, ჯაბა მაღლაფერიძეს. კობა ფარტენაძის თქმით, პასუხისმგებელი პირები ამ დრომდე არ დაკითხულან, ხოლო კითხვა, თუ რატომ არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა საკანში მომხდარი ხმაურის შემდეგ, უპასუხოდ რჩება.

გარდაცვლილი გიგა ფარტენაძის ოჯახი პრემიერ-მინისტრს საქმის პირად კონტროლზე აყვანასა და დამნაშავეების დასჯას სთხოვს: **„ბატონო ირაკლი, გწერთ იმედით, რომ ჩემი ძმის, გიგა ფარტენაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით დღემდე ღიად დარჩენილ კითხვებზე პასუხს თქვენი ძალისხმევითა და ადამიანური თანაგრძნობით მივიღებთ. მოგეხსენებათ, ჩემი ძმის მკვლელობა ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმეა, რაც კი მომხდარა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, თუმცა მიუხედავად ამისა, გარდაცვლილი პატიმრის ოჯახის წევრები ვატყობთ, რომ სასამართლო არცთუ გამართულად მიმდინარეობს და დღემდე არ დაკითხულან ის პირები, რომელთაც პასუხისმგებლობა აკისრიათ ჩემი ძმის საკანში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული პირების მოთავსებისთვის. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დიმიტრი დარბაისელმა და ამავე დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ჯაბა მაღლაფერიძემ, რომლებსაც უშუალოდ ეხებოდათ პატიმრის ციხიდან სხვა დაწესებულებაში გადაყვანა, მიპასუხეს, რომ ეს პატიმრები ჩემი ძმის საპატიმრო დაწესებულებაში, ჩემი ძმის საკანში, მათივე უსაფრთხოების მიზნით გადაიყვანეს. თუ მათი ინტერესები და უსაფრთხოება დაიცვეს, მაინტერესებს, რატომ არ დაიცვეს ჩემი ძმის ინტერესები? რატომ ჩააგდეს მისი სიცოცხლე საფრთხეში? ასევე უპასუხოდ რჩება კითხვა, რატომ დატოვა ციხის ადმინისტრაციამ ჩემი ძმა საკანში მარტო (ძველი თანამესაკნეები „გაკრიტეს“, მისი დაღუპვისთანავე კი უმალ დააბრუნეს); ციხის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ საკანში შელაპარაკების ხმა ისმოდა — თუ მართლა ასე იყო, რატომ არ ჩაერივნენ, რატომ არ გადადგეს პრევენციული ნაბიჯები შესაძლო უბედურების ასაცილებლად.**

ესაა მხოლოდ მცირე ნაწილი იმ კითხვებისა, რომელიც გარდაცვლილის ოჯახის წევრებს არ გვასვენებს; გაცნობიერებული გვაქვს, რომ ჩვენი ეჭვები შესაძლოა, ემოციური ფონისა და მომხდარის ტრაგიზმის გამო, რეალობას აცდენილი იყოს, მაგრამ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, დროულად, ეფექტურად და სამართლიანად გამოიძიოს ყველა გარემოება, დაისაჯონ არა მარტო მკვლელობის ჩამდენი პირები, არამედ ყველა ის პირი, ვინც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება იმ საშინელ ღამეს, როცა პატიმარი ფარტენაძე საკუთარ საკანშივე მოკლეს. დეპარტამენტის თავმჯდომარისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის დაკითხვა ან თუნდაც კითხვის დასმა რატომ უნდა იყოს შეუძლებელი, არა მხოლოდ ჩემთვის, პროკურორისთვისაც და საზოგადოებისთვისაც, გაუგებარია, ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს, პირად კონტროლზე აიყვანოთ ამ საქმის გამოძიება და მოგვცეთ იმედი, რომ დამნაშავეები დაისჯებიან“.

ჩვენთან საუბრისას **კობა ფარტენაძე** აცხადებს, რომ ამ საქმეში დამნაშავენი მხოლოდ უშუალო შემსრულებლები ვერ იქნებიან: **„დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა სრულიად უკონტროლოდ გადაიყვანეს ჩემს ძმასთან 3 განსაკუთრებით საშიში მკვლელი, ხობის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში ნამკურნალები პატიმრები. რა ვითარებაში გარდაიცვალა გიგა, ვერ დავადგინეთ. ფაქტია, მხოლოდ უშუალო მკვლელები ვერ იქნებიან დამნაშავენი! წინა ხელისუფლებამ 16 წელი მიუსაჯა უცხოელის ცემისთვის, ამათ კი, ფიზიკურად გაანადგურეს. ერთმანეთს ეჯიბრებიან მარაზმში. არ ველოდები, რომ საქმეს რეალური მსვლელობა მიეცემა. ეშინოდეთ იმ ადამიანების, ვისაც მათი დარტყმისთვის პასუხი ჯერ არ გაუცია“.**

პროკურატურამ 2014 წლის 4 მარტს, სასჯელაღსრულების №14 დაწესებულებაში პატიმრის, გიგა ფარტენაძის გარდაცვალების ფაქტზე დაწყებული სისხლის სამართლის საქმე გახსნილად გამოაცხადა. ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ გიგა ფარტენაძე ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპების გამო გარდაიცვალა: **„გამოძიებით დადგენილია, რომ 2014 წლის 4 მარტს, დაახლოებით 02:20 საათზე, სად-ის №14 დაწესებულების მეექვსე სარეჟიმო კორპუსის №322 საკანში განთავსებულ მსჯავრდებულებს — შოთა შანიძეს, ლევან მოისწრაფიშვილს, გიორგი სეხნიაშვილსა და გიგა ფარტენაძეს შორის არსებული სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. შოთა შანიძემ, გიორგი სეხნიაშვილმა და ლევან მოისწრაფიშვილმა გიგა ფარტენაძე იატაკზე წააქციეს, რა დროსაც მან გონება დაკარგა და წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო. მიუხედავად ამისა, ისინი აგრძელებდნენ მის მიმართ სასტიკ ძალადობას, კერძოდ გულმკერდის, კისრისა და სახის არეში ხელებითა და ფეხებით სცემდნენ და ბეტონის იატაკზე არტყმევინებდნენ თავს. ეს ქმედება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა აღკვეთეს, რა დროსაც გიგა ფარტენაძე გადაიყვანეს №14 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში, სადაც გაწეული დახმარების მიუხედავად, იგი გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგენილია, რომ გიგა ფარტენაძის გარდაცვალების მიზეზია ქალატვინის ბლაგვი ტრავმის შედეგად განვითარებული თავის ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპება. აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით შოთა შანიძისა და ლევან მოისწრაფიშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ს 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მეექვსე ნაწილით, მეშვიდე ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებითა და მერვე ნაწილით, ხოლო გიორგი სეხნიაშვილის მიმართ სსკ-ს 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მეექვსე ნაწილით, მეშვიდე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მერვე ნაწილით. წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ათიდან ცამეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“.**

ოჯახის წევრებმა დანაშაულის გახსნის შესახებ მედიასაშუალებებიდან შეიტყვეს. მათი განცხადებით, გიგა უმნიშვნელო მიზეზით არ დაკარგავდა გონს. გარდაცვლილი პატიმრის დედის განცხადებით, საკანში, მის შვილთან ერთად ახლო მეგობარი გ. კაჭარავა იმყოფებოდა, რომლის შესახებაც ცნობები არსად ფიქსირდება. მზია ნიქაბაძეს აინტერესებს, რას აკეთებდა იგი იმ დროს, როდესაც მის შვილს სასიკვდილოდ სცემდნენ. გარდაცვლილი პატიმრის ოჯახი პროკურატურას უნდობლობას უცხადებს.

თავის მხრივ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მრჩეველი **ლალი მოროშკინა** დეპარტამენტის თავმჯდომარის, დიმიტრი დარბაისელის პოლიტიკას (სისტემის ე.წ ზონდერებით გავსება, არაადეკვატური პრემიები) აპროტესტებს და შიმშილობის დაწყებას გეგმავს. სოციალურ ქსელში, მოროშკინა წერს: **„იყო 9-წლიანი ბრძოლა, ყოველდღე შიში მკლავდა, რომ ჩემი შვილის ჯიბეში „შემთხვევით“ ნარკოტიკი აღმოჩნდებოდა, ჩემ ძმას დაიჭერდნენ რაიმე შეთითხნილი ბრალდებით... ღმერთმა გადამარჩინა და მავანთა პროვოკაციის შედეგად მხოლოდ მე მოვხვდი „მოდულის“ ქვესკნელში... ჩემი სახლის დიდი ნაწილი პატიმრების წერილებს უკავია... ეს ჩემი სიმდიდრეა... წლობით ამ ადამიანების გოდებასა და ვაებას ვკითხულობდი... შემდეგ დაიწერა წიგნი „გისოსებსმიღმა საქართველოა“!**

1 ოქტომბერი მე და ჩემმა მეგობრებმა მოვიყვანეთ... მაშინ ვინც გვარბევდა — დაწინაურდნენ, ვინც „გვისმენდა“ — გამდიდრდნენ. სული მეწვის საკუთარი უსუსურობისგან, რომ დღეს ვერ ვშველი ადამიანებს განსაცდელში იმიტომ, რომ დიდი ღალატია! მრცხვენია იმის, რაც სასჯელაღსრულების უწყებაში დაფიქსირდა... და ეს მაშინ, როდესაც ბიჭები გვყავს „გაურკვეველ“ ვითარებაში გარდაცვლილი და ბოდიშიც არავის მოუხდია! მე გიხდით ბოდიშს, ხალხო!

პროტესტის ფორმასა და გეგმას უახლოეს პერიოდში მოგაწვდით!“

სუდოკუ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

				3	7		6	
		5		1				8
4			9				5	
6	2				8		4	
1								3
	7		2				8	6
	8				5			4
5				2		7		
	1		7	6				

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

					5	8	2	
		8	3		4		7	
6					7			
		5					3	7
		3				4		
2	7					6		
			6					1
	3		5		9	2		
	2	4	8					

ᲠᲗᲣᲚᲘ

				8	2		9	
1		7	6					8
						2		
							4	2
3		5				7		1
7	6							
		4						
6					5	3		9
	3		1	9				

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

			6				2	1
		4						
			4	8	7	9		
	6	7			4			3
2			3		1			5
1			5			8	4	
		2	1	6	8			
						2		
7	8				2			

რის გარეშე ვერ ძლებენ ამერიკელები

კომპანია Pew Research Center-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რის გარეშე ვერ ძლებენ ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებნი. გამოკითხვისას რესპონდენტებს უნდა მიეთითებინათ, ამა თუ იმ ნივთს ფუფუნების საგნად მიიჩნევენ თუ არა. აუცილებელი საგნების რეიტინგში პირველი ადგილი ავტომობილმა დაიკავა — მას ხმა გამოკითხულთა 88%-მა მისცა, ლიდერებს შორისაა ასევე სახლის ტელეფონი (68%), ელექტროსაშრობი მანქანა სარეცხისთვის (66%), კონდიციონერი (54%) და ტელევიზორი (52%). გარდა ამისა, პირველადი მოხმარების საგნებში ამერიკელთა 50%-მა კომპიუტერი დაასახელა, მობილური ტელეფონი — 48%-მ, მიკროტალღური ღუმელი — 47%-მა, ინტერნეტი — 31%-მა... აღსანიშნავია, რომ მსგავსი გამოკითხვა პირველად 1973 წელს ჩატარდა.

სიბერეს კვერცხით შეაჩერებენ

დაბერების შემაჩერებელი კვერცხების დადება დაიწყეს ქათმებმა ბელგიის ქალაქ უარსაჟის მეფრინველეობის ფაბრიკაში, ამ ბელგიური „ნოუ-ჰაუს“ საიდუმლო ისაა, რომ ფრინველთა კომბინირებულ საკვებში არ უმატებენ სიმინდს, სამაგიეროდ იყენებენ არა მხოლოდ ფქვილსა და ბალახს, არამედ ანტიოქსიდანტებსაც, რომელიც შეუცვლელია სიბერესთან ბრძოლაში. როგორც მსოფლიოში პირველი „ნაოჭების საწინააღმდეგო“ კვერცხის მწარმოებლები აცხადებენ, მათი პროდუქცია, რომელიც ორგანიზმის დაცვასა და იმუნიტეტის ამაღლებას უწყობს ხელს, დახლებზე ორიოდე კვირაში გამოჩნდება.

ნახევარი ჭიქა ღვინო სიცოცხლეს გაგიხანგრძლივებთ

ახალი გამოკვლევის მიხედვით, რომელიც ჰოლანდიელმა მეცნიერებმა ჩაატარეს, დამტკიცდა, რომ დღეში ნახევარ ჭიქა ღვინოს შეუძლია, ადამიანს სიცოცხლე ხუთი წლით გაუხანგრძლივოს, ყოველ შემთხვევაში, მამაკაცებს მაინც. სწავლულებმა 1373 შემთხვევით შერჩეულ მამაკაცზე ჩაატარეს კვლევა, სადაც ითვალისწინებდნენ, რამდენ ალკოჰოლს სვამდნენ ეს ადამიანები, რა ფორმით და რა ვადაში, ახდენდა თუ არა ეს გავლენას გულის დაავადებებით ან სხვა მიზეზით გამოწვეული სიკვდილიანობის რისკზე. აღმოჩნდა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მსუბუქი ალკოჰოლის რეგულარულად მიღება ნებისმიერი ფორმით (დღეში 20 გრამამდე), სიცოცხლეს ორი წლით ახანგრძლივებდა, ხოლო ისინი, ვინც მხოლოდ ღვინოს სვამდა (დღეში ნახევარ ჭიქას) დაახლოებით 2,5 წლით იხანგრძლივებდნენ სიცოცხლეს. მოკლედ, ჰოლანდიელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ღვინოს შეუძლია გულის კორონარული დაავადებითა და სხვა პათოლოგიებით გამოწეული სიკვდილის რისკის შემცირება.

წინა ნომერში გასუდოკუ სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	8	7	2	6	4	5	3	1
3	4	5	1	9	8	2	7	6
2	6	1	7	5	3	4	9	8
8	9	6	5	4	2	3	1	7
1	7	4	8	3	9	6	5	2
5	3	2	6	7	1	8	4	9
7	5	3	9	2	6	1	8	4
6	1	9	4	8	5	7	2	3
4	2	8	3	1	7	9	6	5

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	7	3	1	5	2	9	8	4
4	8	5	3	9	7	1	2	6
2	1	9	6	4	8	7	3	5
7	5	4	2	1	3	6	9	8
3	2	8	7	6	9	5	4	1
9	6	1	5	8	4	3	7	2
1	9	2	8	3	6	4	5	7
8	4	6	9	7	5	2	1	3
5	3	7	4	2	1	8	6	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

8	7	6	1	9	5	4	2	3
5	4	3	2	7	6	1	9	8
2	1	9	3	4	8	7	6	5
7	3	5	6	2	1	9	8	4
9	8	4	7	5	3	6	1	2
6	2	1	4	8	9	3	5	7
4	9	2	8	6	7	5	3	1
3	5	8	9	1	4	2	7	6
1	6	7	5	3	2	8	4	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	3	9	7	2	5	8	1	4
2	1	8	9	6	4	3	7	5
7	5	4	1	3	8	9	6	2
3	4	2	8	1	9	7	5	6
1	9	7	6	5	3	4	2	8
8	6	5	4	7	2	1	3	9
5	8	3	2	9	7	6	4	1
9	7	6	5	4	1	2	8	3
4	2	1	3	8	6	5	9	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	7	4	1	2	5	9	8	6
1	2	6	9	8	4	7	5	3
5	9	8	7	6	3	4	2	1
4	5	1	8	3	9	6	7	2
8	6	2	5	1	7	3	9	4
9	3	7	6	4	2	8	1	5
2	4	5	3	9	8	1	6	7
7	1	9	4	5	6	2	3	8
6	8	3	2	7	1	5	4	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	1	6	9	8	7	2	5	4
5	2	4	1	3	6	8	9	7
9	7	8	5	4	2	1	6	3
6	5	9	8	2	3	7	4	1
4	3	7	6	1	9	5	2	8
2	8	1	4	7	5	6	3	9
1	6	5	7	9	4	3	8	2
8	4	2	3	6	1	9	7	5
7	9	3	2	5	8	4	1	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	1	8	4	6	2	7	5	3
6	3	7	5	1	9	4	2	8
2	5	4	7	8	3	1	9	6
7	6	9	2	4	8	5	3	1
5	2	3	6	9	1	8	4	7
8	4	1	3	7	5	2	6	9
4	7	5	1	3	6	9	8	2
3	9	2	8	5	7	6	1	4
1	8	6	9	2	4	3	7	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	1	5	4	3	2	7	9	6
7	4	6	5	1	9	8	3	2
3	9	2	8	7	6	1	5	4
4	8	9	3	2	1	6	7	5
5	7	3	9	6	8	4	2	1
2	6	1	7	5	4	3	8	9
1	5	8	2	4	7	9	6	3
9	3	4	6	8	5	2	1	7
6	2	7	1	9	3	5	4	8

მე-10 გვერდი: 1. სერპანტინი; 2. აჰასფერი; 3. მალა; 4. პარსეკი; 5. სპასპეტი; 6. როსინანტი; 7. აპკი; 8. ამატი; 9. ფსიტი; 10. რველი; 11. იპონი; 12. ორე; 13. ირიდა; 14. აკმეიზმი; 15. ავიცენა; 16. ლირა; 17. ანილინი; 18. კურარე; 19. ატენი; 20. ნეკი; 21. ასი; 22. ნუნა; 23. ანორაკი; 24. ლეონი; 25. არაბია; 26. ვიაგრა; 27. „შალკე“; 28. ელამი; 29. ანოდი; 30. რუი; 31. ლობიო; 32. შროშანი; 33. აბო; 34. პოლო; 35. კალასი; 36. ვიალი; 37. ბიზე; 38. როდენი; 39. იპრი; 40. ატოლი; 41. ბაგე; 42. მორუა; 43. ბუდაპეშტი; 44. რევიუ; 45. იუკა; 46. უეინ; 47. ინარი; 48. ამინომჟავა; 49. რიფი; 50. ნიკო; 51. კაი; 52. მალე; 53. მინუტი; 54. კოჟრი; 55. კურკა; 56. ნალა; 57. ფიფქია; 58. რაპიდი; 59. მე.

მე-12 გვერდი: 1. გრაცია; 2. რულონი; 3. ცენტურია; 4. ტერცია; 5. ენურეზი; 6. ცხუმი; 7. ალონსო; 8. რტო; 9. კოჭა; 10. გუდუნა; 11. თამრო; 12. კალე; 13. ზურნა; 14. ეთიკა; 15. ზაბულონი; 16. აძურა; 17. ავარა; 18. ციტრა; 19. ბიო; 20. „გზა“; 21. ორშიმო; 22. ოფელია; 23. რძე; 24. ალამი; 25. პიცა; 26. პო; 27. სუსანინი; 28. ძუა; 29. ფრედერიკ შოპენი; 30. ლოსიონი; 31. კროუ; 32. სერ; 33. „ექსელი“; 34. „რივერდანსი“; 35. პერსონა; 36. ნუში; 37. დონ; 38. ნეო; 39. არვე; 40. ესე; 41. ლისი; 42. ეოსი; 43. იაუზა; 44. ოლე; 45. როუენ; 46. მრწემი; 47. ღამურა; 48. რკალი; 49. რიდე; 50. პატიო; 51. ლემა; 52. დუნაი; 53. ანელკა; 54. ბრედ; 55. ისლი; 56. მონრო; 57. კურსკი; 58. პინია; 59. ანწლი; 60. იანუსი; 61. ორხაო; 62. ნეტო; 63. ალბა; 64. სომელიე; 65. ხაშური; 66. შველი; 67. მაატი; 68. ეა; 69. იასპი; 70. კივუ; 71. ლივ; 72. აბიო; 73. ხაკი; 74. ხოშიმინი; 75. აკრი; 76. ალპაკა; 77. რე; 78. გოა; 79. საგარეჯო; 80. რახი; 81. ადიუ; 82. ბიზე; 83. სნო; 84. კოზა; 85. ჯონ; 86. „ოტელო“; 87. ცხვირი; 88. უმი; 89. იკაო; 90. იასი.



1. ხუთი წერტილი კამათელზე
2. სარტყელ ინსტრუმენტზე დამკვრელი
3. ძალიან იშვიათი ნივთი
4. ჯადოქარი, მისანი
5. ბარბადოსელი მომღერალი ქალი
6. დანტე ალიგიერის მუზა
7. კაპილარების გაფართ. გამოწ. სიწითლე
8. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
9. ჩუქჩების საცხოვრებელი კარავი
10. ერთაოზის გვარი „შერეკილებში“
11. პარამხანის მსახური ქალი
12. ინკვიზიციის უმცროსი მსახური
13. ხელის საგრილობელი
14. გამარჯვების ქალღ. რომ. მითოლოგ.
15. ვიტამინი
16. არადეკვატური განწყობ.
17. სოფლური ქოხი შვეიცარიის ალპებში
18. რემარკის „... მეგობარი“
19. შოლომალეიხემის მერძევე
20. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
21. ფრინველის „ბინა“
22. კრემიანი ნამცხვარი
23. ადამიანიღამურა
24. ფრანგი პოეტი ... აპოლინერი
25. ქალაქი ირანში
26. ვოლტერის ნამდვილი გვარი
27. ბრტყელი თევზი, რომელსაც ორივე თვალი ერთ მხარეს აქვს
28. ნამუშევარი წლების რაოდენობა
29. უმცროსი სამხედრო მეთაურის ჩინი
30. სამკითხაო ბანქო
31. თარსი რიცხვი
32. ბაღი ძველ ქართულში
33. ჭადრაკის საერთაშორ. ფედერაცია
34. ინგლისელი ფეხბურთელი – კინი
35. მეტყველების ნაწილი გრამატიკაში
36. პატარა ტყე მინდორში
37. უცოდინარი, უსწავლელი
38. საჯარო წარმატება
39. მდინარე რუსეთში
40. რძის ნაწარმი
41. ბრიყვი, გაუზრდელი
42. სამკურ. მცენარე
43. რუსული როკ-ჯგუფი „...-თურმანი“
44. კათოლიკური წირვა
45. ტროპიკული ხე
46. ავტომობილი ბავშვის ენაზე
47. დღეის მომდევნო დღეს ანუ ...
48. ქალაქი საფრანგეთში
49. ვენერას ბერძენი „კოლეგა“
50. პერანგი ძვ. ქართ.
51. მსახიობი ... დელონი
52. იტალიის ყველაზე გრძელი მდინარე
53. იტალ. ნობელიანტი დრამატურგი
54. აშშ-ის ტელეპრემია
55. ვაზების მწკრივი ვენახში
56. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
57. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
58. ებრაელთა რეპატრიაცია
59. ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი
60. ბრმა ნაწლავის ანთება
61. იუპიტერის თანამგზავრი
62. ტოკიოს ძველი სახელწოდ.
63. თურქული მარგარინის მარკა
64. ზევსის ბებია
65. მზის ამოსვლა, გარიჟრაჟი
66. ბევრი და უთავბოლო ლაპარაკი
67. ესპანელი ავტომრბოლელი

ფულიბაქტერიების ბუდე

სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ფულის ბანკნოტზე, შესაძლოა, 26 ათასამდე ვირუსი და მავნე მიკროორგანიზმი იყოს, ამიტომ მედიკოსები გვაფრთხილებენ, როცა კი ფულს შევეხებით, ხელი აუცილებლად დავიბანოთ. „ფულის ბაქტერიების“ რაოდენობა, რომელიც ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, ოქსფორდის უნივერსიტეტის ექსპერტებმა დაითვალეს, 12 ქვეყანაში 9 ათასამდე რესპონდენტი გამოკითხეს და შედეგად ასეთი მონაცემები დადეს: მხოლოდ ყოველი მეხუთე გამოკითხული იბანს ხელს ფულთან შეხების შემდეგ. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ბანკნოტი წარმატების სიმბოლოა, ამიტომ მისი შეხება ადამიანის ყურადღებას ადუნებს, უდიდესი რისკის ქვეშ კი ევროს, დანიური კრონისა და რუსული რუბლის მფლობელები არიან — ამ ბანკნოტებზე ყველაზე მეტი საშიში მიკროორგანიზმი და ბაქტერიაა, რომელიც სხვადასხვა დაავადებას იწვევს. აღსანიშნავია, რომ ევროპაში უკვე მიიღეს გარკვეული ზომები ფულზე არსებული ვირუსებისგან დასაცავად და ბანკნოტების გამოშვება სპეციალურად დამუშავებულ ქაღალდზე დაიწყეს, რომლის საფარი გაწმენდას, დეზინფიცირებასა და რეცხვას იტანს.

ძილის სიყვარულს გენი იწვევს

ბევრი ადამიანისთვის დილით ადრე ადგომა ძალიან რთულია და როგორც აღმოჩნდა, საქმე გენებთან გვაქვს — ჩატარებული კვლევის შემდეგ სწავლულებმა განაცხადეს, რომ მათ, ვისაც სულ ეძინება, არ აქვთ ორგანიზმში PER-ის სახელწოდებით ცნობილი ცილის გამომამუშავებელი გენი (სწორედ ეს ცილა არეგულირებს ადამიანის დღე-ღამის რიტმს). მეცნიერები აცხადებენ, რომ უძილობის პრობლემა დედამიწის მოსახლეობის 58%-ს აწუხებს, თუმცა ახლა ამ პრობლემის მოგვარება ადვილი იქნება, რადგან ორგანიზმში ღ-ის ხელოვნურად გამომუშავება შესაძლებელია.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ლამაზი ღიმილის ტრენაჟორი შეიქმნა

ამომავალი მზის ქვეყანა სამართლიანად მიიჩნევა გამოგონებების აკვნად. ცოტა ხნის წინ იაპონელმა ოსტატებმა მორიგი სიახლე შემოგვთავაზეს — ლამაზი ღიმილის ტრენაჟორი, რომლის დანიშნულებაა, გოგონებმა მოზარდობის ასაკიდანვე ისწავლონ ტუჩების ისე გამობერვა, როგორც ამას ადგილობრივი ტრადიცია მოითხოვს — აღმოსავლური სილამაზის სტანდარტები ხომ განსხვავდება ევროპულისგან. სიახლეს გამომგონებლებმა Beauty Smile Trainer უწოდეს, რომელიც სულ უბრალო... რეზინის ნაჭერია. ამ მცირე ზომის დრეკად საგანს პირში იდებენ, რაც ადამიანის ღიმილს წარმოაჩენს. პროდუქტი ადგილობრივი დანტისტების მიერაა მოწონებული და გარდა ძირითადი ფუნქციისა, რეზინის ნაჭერი სახეზე ნაოჭების შემცირებასაც გპირდებათ.

„საკვებად ვარგისი კინო” ლონდონში

ნისლიანი ალბიონის დედაქალაქში, კინოთეატრმა Electric Cinema გადაწყვიტა „საკვებად ვარგისი ფილმების“ რეტროსპექტივა — ეს ფილმის ჩვენების ახალი ფორმაა, სახელწოდებით Edible Cinema, როცა შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, კინოთეატრში მისულ მაყურებელს სთავაზობენ დანომრილ ხონჩასა და საკვებს, რომელიც ფილმის ჩვენებისას, განსაზღვრულ მომენტში უნდა მიირთვან. პირველი ასეთი ფილმი, რომელიც „საკვებად ვარგისი სპეცეფექტებით“ აჩვენეს, „ფავნას ლაბირინთი“ იყო. ლონდონის კინოთეატრში ამ უნიკალურ სეანსზე ბილეთი 34 დოლარი ღირდა.

სუდოკუ

ადვილი

	1		9		8			2
		9			1		6	7
			5	6				
9	6	4						
		2				6		
						9	8	4
				1	5			
5	9		3			2		
6			2		7		3	

სტანდარტი

1		4		7				
	2					4	5	
	6							8
				3			1	9
		1	6		8	5		
5	4			2				
4							2	
	7	3					6	
				1		7		3

რთული

	1			8	6			
9		7						6
		4	5		7	9		
			3				9	
		6	2	7	8	4		
	3				5			
		3	8		1	7		
7						3		5
			7	2			1	

ექსპერტი

		4			8		6	5
	9				2		4	8
	8				3			
9		5			1	6		
		1	5			9		7
			3				9	
7	4		2				1	
6	3		9			7		

სამოსს საღებავის მისხურებით ქმნიან

ესპანელმა დიზაინერმა მანუელ ტორესმა შექმნა ტექნოლოგია, რომლის გამოყენებითაც სამოსი სხეულზე საღებავის მისხურებით იქმნება, ჩვეულებრივად ირეცხება და არაფრით განსხვავდება სხვა სამოსისგან. ტორესმა ქმნილებას „სპრეი“ უწოდა — ის შედგება პოლიმერებისგან, რომელიც ბოჭკოებს აერთიანებს, რათა ორგანულ მასალად ჩამოყალიბდეს. ახალი, ორიგინალური სამოსის შექმნისას, ნედლეულად იყენებენ ბამბას, ბოჭკოვან აკრილს, სელს... „სპრეი“ ტანზე მისხურებისთანავე მყარი მასა ხდება, შეიძლება გარდაიქმნას შარვლად ან მაისურად. დიზაინერი იმედოვნებს, რომ გამოგონება უახლოეს მომავალში სხვადასხვა სამოსის რეალურ ალტერნატივად იქცევა.

ჭაღარა _ ჯანმრთელობის საწინდარი

იტალიელი სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ნაადრევი ჭაღარა კარგი ჯანმრთელობის ნიშანია, რადგან ირკვევა, რომ თმის ფერი ორგანიზმის ტონუსზე მოქმედებს და ჯანმრთელობის პროგნოზირების საშუალებას იძლევა. თმაში შეპარული ჭაღარა დაკავშირებულია გლუტატიონის — ანტიოქსიდანტის მომატებულ დონესთან, რომელსაც ორგანიზმში ბევრი მავნე პროცესის შეჩერება შეუძლია — ისინი იწვევს თავისუფალი რადიკალების განვითარებას, ქსოვილების დაზიანებას და ნაადრევ დაბერებასაც კი. ასე რომ, ჭაღარა შეგვიძლია კარგი ჯანმრთელობისა და დიდხანს სიცოცხლის დასტურადაც მივიჩნიოთ.

შავი შოკოლადი კოცნაზე უკეთესია

ლაბორატორიულმა კვლევებმა ცხადყო, რომ შოკოლადი უფრო ძლიერ და ხანგრძლივად ასტიმულირებს ტვინსა და გულს, ვიდრე ყველაზე ვნებიანი კოცნა — ამერიკელმა სწავლულებმა კვლევებისთვის რამდენიმე ახალგაზრდა შეყვარებული წყვილი შეარჩიეს, კარდიომონიტორები და ელექტროდები მიამაგრეს, რომელთა საშუალებითაც კლინიკის სპეციალისტები აკონტროლებდნენ გულისა და ტვინის მოქმედებას. წყვილებს ერთმანეთის კოცნის საშუალება მხოლოდ შავი შოკოლადის მირთმევის შემდეგ მიეცათ, სპეციალურმა აპარატურამ კი დააფიქსირა, რომ ყველაზე მხურვალე ამბორი ვერ შეედრება შავი შოკოლადით გამოწვეულ ნეტარებას.

ეჭვიანობა დაავადებად აღიარეს

სწავლულებმა ეჭვიანობა პათოლოგიურ დაავადებებს მიაკუთვნეს და ნაადრევ სტადიაზე მისი განკურნების პირობაც დადეს. სპეციალისტებმა ამ გრძნობის წარმოშობის მიზეზიც გაარკვიეს — ეს განცდა ყველაზე მეტად ეუფლება დაკომპლექსებულ და ფრთხილ ადამიანებს, რომელთაც ბავშვობაში წყენა და დამცირება გადაუტანიათ, თუმცა ეჭვიანობა წარმატებულ პერსონებსაც ახასიათებს და „ახალი დაავადების“ ხუთი ძირითადი სახეც გამოყვეს: დეპრესიული, პარანოიდული, მანიაკური, განქორწინების შიში და ჰიპერთროპირებული. სპეციალისტების აზრით, ეჭვიანობა ჩვეულებრივი პათოლოგიური დაავადებაა, რომელსაც ადრეულ სტადიაზე განკურნავენ, ხოლო თუ ეს გრძნობა უკვე უკიდურეს ფორმას იღებს და „ოტელოს სინდრომი“ ჩნდება, ადამიანებს ურჩევენ, სასწრაფოდ მიმართონ ექიმს და მედიკამენტოზური მკურნალობის კურსი ჩაიტარონ.

ყველაზე უსიამოვნო ტურისტები

ინტერნეტსერვერ Tripadvisor.com-ის გამოკითხვის მიხედვით გაირკვა, რომ მსოფლიოში ყველაზე უსიამოვნო ტურისტები ამერიკელები არიან. გამოკითხვა ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობა 9 ათასამდე მოგზაურმა და ტურიზმის სფეროს პროფესიონალებმა მიიღეს. ამერიკელებს რესპონდენტთა 18%-მა მისცა ხმა, რადგან სტუმრობისას წესიერად მოქცევა არ იციან. რეიტინგში მეორე ადგილზე ფრანგები გავიდნენ (12%), მესამეზე — გერმანელები (6%). გამოკითხულთა აზრით, ყველაზე ზრდილობიანი ტურისტები არაბები ყოფილან გაერთიანებული საამიროებიდან — მათ მხოლოდ 1% უარყოფითი ხმა მიიღეს. რუსულენოვანი მოგზაურები მეექვსე ადგილზე აღმოჩნდნენ ჩინელებისა და ინგლისელების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ Tripadvisor.com ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინტერნეტრესურსია ტურიზმისა და მოგზაურობის სფეროში და ყოველთვიურად მას 32 მილიონი ადამიანი სტუმრობს.

„თავის გამყიდველი“ გინესის წიგნში მოხვდება

ამერიკელი ლეონარდ ფრიში გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრის კანდიდატია საკუთარი სხეულის ნაწილების გაყიდვის გამო — უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში ფრიშმა ტრანსპლანტაციისთვის გაყიდა თირკმელი, ფილტვი, თვალი, ფეხი, სათესლე ჯირკვალი, 10 კვ.სმ. კანი და ამაზე გაჩერებას არ აპირებდა — მზად იყო, საკუთარი თავი ნაწილ-ნაწილ გაეყიდა, მაგრამ ექიმებმა ამის გაკეთება აუკრძალეს და გააფრთხილეს, რომ სხეულის კიდევ ერთი ნაწილის მოკვეთის შედეგად აუცილებლად დაიღუპებოდა. ამდენი „ვაჭრობის“ შემდეგ ფრიში დაინვალიდდა, მაგრამ, როგორც აცხადებს, საკუთარ საქციელს წამითაც არ ნანობს, რადგან ამ გზით ოჯახის მატერიალური პრობლემების მოგვარება შეძლო — იყიდა სახლი, შვილებს განათლება მისცა და თანხა ბანკშიც გადაინახა, თანაც ბევრ მომაკვდავ ადამიანს დაეხმარა და დონორობით სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ტელეკომპანია „თრიალეთი“



რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

ᲒᲐᲠᲗᲝᲕᲐ

1. თევზსაჭერი მოწყობილობა
2.ბითუმად მოვაჭრე დიდი ვაჭარი
3. ნაღვლიანი ლექსი
4. ყურზე მისამაგრებელი საყურე
5. საჯარისო შენაერთი ძვ. რომში
6. ფირზე ჩაწერილი მუსიკის მელოდია
7. კანის ქრონიკული დაავადება
8.მარხვის საპირისპირო ცნება
9. რუსეთის მეფე ივანე IV-ის მეტსახელი
10. სიკვდილისწინა მდგომარეობა
11. რომის იმპერატორი
12. ზაფხულის მეორე თვე
13. ბუნებრივი ორგანული ნაერთი
14. კამეჩის ნაშიერი
15. ჭაობის მცენარე
16. სარტყმელი მუსიკალური საკრავი
17. არაბული ფლეიტა
18. თურქული მაწონი
19.ნერვული სისტემის შემადგენელი ნაწილი
20. საქართველოს ეროვნული ვალუტა
21. ტბა აფრიკაში
22. მოზაიკის ფერადი ქვა
23. შეიარაღებული გრძოლა ქვეყნებს შორის
24.გოგირდისთავიანი პატარა ჩხირი ცეცხ. ასანთებ.
25. დიდი რუსი ავიაკონსტრუქტორი
26. სენეგალის დედაქალაქი
27. ადამიანობობა
28. ბრაზილიის უდიდესი სტადიონი
29. სოფელი ონის რაიონში
30. ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში
31. მოდების ჟურნალი მამაკაცებისათვის
32. აღმოსავლური ორთაბრძოლის სახეობა
33. ძველებური განიერი კაბა, ხაბარდა
34. სტუდენტის „ხელფასი“
35. „ნისანის“ მოდელი
36. ვეუეკა კამეჩი
37. აპოგეის საპირისპირო ცნება
38. კატის ჯიში
39. სამიანი კამათელზე
40.სხეული თავისა და კიდურების გარეშე
41. რისამე ბოლო ნაწილი, ნაპირი
42. ინდური კობრა
43. იატაკის საფარი
44.ესპანელი მწერალი მიგელ დე ...
45. მდინარე ჩეხეთში
46.მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯოგი
47.დასტურის სიტყვა ამერიკულ ინგლისურში
48. მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
49. წვრილი ნაწლავის ანთება
50. ქალაქი თურქეთში
51. ხელოვნური საერთაშორისო ენა
52. პატრარკას სატრფო
53. წილი საერთო საქმეში
54. ჭეშმარიტი, ნამდვილი
55. „გაზაფხული შემოსულა, ...!“
56. ქვეყანა აფრიკაში
57. მეტყველების ნაწილი გრამატიკაში
58.იტალიელი მწერალი უმბერტო ...
59. ჩვილი ბავშვის საწოლი
60.გაპოლიტიკოსებული ლიბერიელი ფეხბურთელი
61. შხამიანი გომბეშო
62. მდინარე ლონდონში
63. „ბითლზის“ წევრი რინგო ...
64. ზოდიაქოს ნიშანი
65. მამალი თხა
66. რუსი კინოვარსკვლავი მამაკაცი
67. ვაზის ნაყოფი
68. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
69.ქალაქი, სადაც ტაჯ-მაჰალი მდებარეობს
70. გუგუას ცოლი „ხევისბერ გოჩაში“
71. კარლ მარქსის მშობლიური ქალაქი
72.მოკვეთილი კიდურის ბოლო ნაწილი
73. ჩინური ტანვარჯიში
74. ჩინელი ფილოსოფოსი ლაო ...
75. მიწების ხელოვნური მორწყვა
76.ხემცენარე მაგარნა-ჭუჭიანი ნაყოფით
77. გაზაფხულის ყვავილი
78. ნაპოლეონის კარის მხატვარი
79. ლიტვის ეროვნული ვალუტა
80. მუსიკალური გამის III ნოტი
81.დედამიწის ქალღმერთი
82. ნაცია
83. აკაკი ხორავას ბოლო კინოპერსონაჟი
84. კუნთების ტკივილი
85. დაკოდილი ცხენი

ჩინელებს მოწევას აიძულებენ

ჩინეთის ჰუბეის პროვინციაში, ადგილობრივი თამბაქოს მრეწველობის გადასარჩენად რადიკალური ზომების მიღება გადაწყვიტეს — ადგილობრივმა ხელისუფლებამ დადგენილება გამოსცა, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციის ჩინოვნიკებმა წელიწადში ადგილობრივი მარკის 230 ათასი კოლოფი სიგარეტი უნდა მოწიონ, რაც დაახლოებით 4 მილიონი იუანი (590 ათასი დოლარი) დაჯდება. დოკუმენტში დაწვრილებითაა მითითებული, პროვინციის ადმინისტრაციის ყოველი განყოფილების თანამშრომლებმა რა მარკისა და რაოდენობის სიგარეტი უნდა მოიხმარონ, ხოლო ჩინოვნიკები, ვინც დავალებას თავს ვერ გაართმევს, დაჯარიმდებიან.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.